645
1962/2

ნოემბერი
1962 წ. № 11

# საქართველოს ქალი







ეროვნული ბიბლიოთეკა

645
1962/9
ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიადი წლისთავი

ამ ცოტახნის წინათ ჩვენმა ხალხმა აღნიშნა სკკპ XXII ისტორიული ყრილობის ერთი წლის თავი.

— XXII ყრილობამ შეაიარაღა პარტია და ხალხი კომუნიზმის მშენებლობის დიდებული პროგრამით. სკკპ ახალი პროგრამა მთელი პარტიის კოლექტიური აზრის, მისი ცენტრალური კომიტეტის უდიდესი თეორიული მოღვაწეობის ნაყოფია, სკკპ XX ყრილობის მიერ დასახული ლენინური კურსის ცხოვრებაში წარმატებით გატარების, პიროვნების კულტის მავნე შედეგების დაძლევის რეზულტატია, — აღნიშნულია გაზეთი „პრავდის" მიმდინარე წლის 17 ოქტომბრის მოწინავე სტატიაში.

დიახ, უფრო დიდი და კეთილშობილური ამოცანა, ვიდრე კომუნიზმის მშენებლობაა, ჩვენ პარტიას, ჩვენს ხალხს დღემდე არ ჰქონია და სწორედ ამიტომ იყო, რომ ყრილობის დამთავრებისთანავე მთელ ჩვენს ქვეყანაში არნახული სიმძლავრით გაიშალა შემოქმედებითი შრომა, სოციალისტური შეჯიბრება.

ვერ ნახავთ დღეს სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების ვერც ერთ დარგს შრომისადმი შეგნებული, ჭეშმარიტად კომუნისტური დამოკიდებულების შესანიშნავ ნიმუშებს რომ არ იძლეოდნენ ჩვენი ადამიანები; ასეთ ბრძოლასა და შრომას ხალხი ეწევა იმიტომ, რომ ის კარგად ხედავს პარტიის გამუდმებულ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის, მან იცის, რომ პარტიის საქმიანობის მაღალი აზრი ხალხის სამსახურია. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებული ბრძოლით მოიპოვა ყველა საბჭოთა ადამიანის უსაზღვრო სიყვარული, ნდობა და მტკიცე მხარდაჭერა.

XXII ყრილობის შემდეგ გასული წელი იყო ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის წელი; საერთაშორისო მასშტაბით ჩვენი დროის კომუნისტური მანიფესტის იდეების უფრო მძაფრი ზემოქმედებისა და გავლენის წელი. ეს წელი დიად საქმეთა წელია.

საბჭოთა ხალხი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ძლევამოსილად ახორციელებს სკკპ პროგრამას, ამას ნათლად ადასტურებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მძლავრი ნაბიჯები; შვიდწლედით გათვალისწინებული გეგმების წარმატებით შესრულება; საბინაო მშენებლობის გიგანტური გაქანება; უმაგალითო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რამაც შეაძლებინა ჩვენს ქვეყანას განეხორციელებინა ისტორიული კოსმოსური გაფრენები.

უდაოა წარმატებანი მოპოვებული კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბების სფეროსა და ახალი ადამიანის აღზრდაში.

სკკპ პროგრამის ცხოველმყოფელ იდეებში კომუნისტები, დედამიწის ყველა მშრომელნი პოულობენ რწმენას, საბრძოლო სულისკვეთების დიად მაგალითს. სკკპ პროგრამა ძალის მძლავრი წყაროა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

დღეს, ისე როგორც არასოდეს, ადამიანები ხედავენ, რომ კომუნიზმი და მშვიდობა განუყრელია. პარტიის პროგრამა არის აგრეთვე მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, ომის თავიდან აცილების პროგრამა. ლენინის ანდერძის ერთგული კომუნისტური პარტია ყველაფერს აკეთებს, იმისათვის, რათა მსოფლიოში შენარჩუნებულ იქნას მშვიდობა, განმტკიცდეს ხალხთა შორის მეგობრობა, კაცობრიობას აცილდეს ატომური ომის საშინელებანი.

მსოფლიო სულ ცოტა ხნის წინათ თერმოატომური კატასტროფის ზღვარზე იყო, და თუ ახლა კაცობრიობას შეუძლია შვებით ისუნთქოს, ამას იგი უმადლის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, მშვიდობისმოყვარულ იმ გონივრულ ღონისძიებებს, რომლებმაც ჩაფუშეს აგრესორთა გეგმები.

საბჭოთა ქვეყნის მშრომელები, ჩვენი პლანეტის ყველა პატიოსანი ადამიანი, მხურვალედ მიესალმნენ და მოიწონეს სსრ კავშირის მთავრობის, მისი მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ბრძნული მოქმედება, რომელმაც ხელი შეუწყო ომის საფრთხის ლიკვიდაციას, კუბის წინააღმდეგ აგრესიის თავიდან აცილებას, მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას მთელ დედამიწაზე.

დღეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს თუ რა სიძლიერით გაჩაღდა ოქტომბრის ნაპერწკლები, ჩაუქრობელ ჩირაღდნად რომ ანათებს მთელ პლანეტას.

საბჭოთა ადამიანები რომლებმაც აღნიშნეს სკკპ XXII ყრილობის, პარტიის ახალი პროგრამის მიღების წლისთავი და შეეგებენ დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავს, პირველ ყოვლისა თვალს აპყრობენ ბრძოლებში ნაცადსა და გამოწრთობილ კომუნისტურ პარტიას, მის ბელადსა და ორგანიზატორს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს, ვისი სიტყვები დღეს კიდევ უფრო ამაყად გაისმის მთელ ქვეყანაზე: პარტიას ჩვენ ვენდობით, იგი მიგვაჩნია ჩვენი ეპოქის გონებად, პატიოსნებად და სინდისად.

8721
კ. მარქსის სახ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა * თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ილია ოჯახის შესახებ

ილია ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამოპარვია ჩვენი ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი მხარე. კერძოდ, იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ოჯახის საკითხს. მტკიცე, ჯანსაღი და ღონიერი ოჯახი მას ქვეყნის ძლიერების საფუძვლად მიაჩნდა. ოჯახის სიმტკიცეში კი გადამწყვეტ როლს ანიჭებდა ქალს. ილია ჭავჭავაძე ამ მოსაზრებას აყენებდა და იცავდა არა მარტო თავის შემოქმედებაში, არამედ პრაქტიკულ საქმიანობაშიც, მოსამართლედ მუშაობის დროს.

ილია ჭავჭავაძის აზრით, ქალისათვის „დედობა" უფრო საპატივცემულო, სასახელო და მაღალი მცნებაა, ვიდრე „ქალობა", და თუ ქალი ოჯახს კარგად პატრონობს, პატრონობს ქვეყანასაც. როდესაც ილია ჭავჭავაძემ ამ საკითხზე თავის „ივერიაში" წერილი დაბეჭდა, მან უსაყვედურა იმ დედაკაცებს, რომლებიც „ქალებად გადაიქცნენ და „დედაკაცობა" გონებიდან ამოიღეს." ილია ჭავჭავაძე პირდაპირ ამბობს: „დედაკაცობა" უფრო მაღალი, სასიქადულო დანიშნულებაა ჩვენის დედაკაცებისა, დებისა და მეუღლეებისა, ვიდრე „ქალობა".

ილია ჭავჭავაძე დედაკაცში ხედავდა არა მარტო ოჯახის, არამედ მთელი ერისა და ქვეყნის ძლიერების სათავეს. „სულით გაძლიერება ჩვენის „დედაკაცებისა", გაძლიერებაა ოჯახისა, ერისა, ქვეყნისა". ილია ჭავჭავაძე თავისი შეხედულების გასამაგრებლად იშველიებს კარლ მარქსის სიტყვებსაც—როგორიც დედაკაცია, ისეთი ოჯახია, როგორიც ოჯახია, ისეთი სახელმწიფოაო.

ილია ჭავჭავაძე გააფთრებით ესხმოდა თავს და სასტიკად აქიაქებდა იმ მაღალი წრის ჩარჩებსა და ნაძირალებს, რომლებიც მას ეწინააღმდეგებოდნენ ამ საკითხში. „დღეს ქართველმა დედაკაცობამ რომ მაღალი დანიშნულება დედაკაცისა თვალწინ დაიყენოს, ოჯახს უპატრონოს და ქომაგად დაუდგეს, — ამბობს ილია, — ასე ადვილად ვეღარ გავა საძოვარზე იგი ჩრჩილი, რომელიც ჩვენს ოჯახს სჭამს, იგი თაგვი, რომელიც ჩვენი ოჯახიდან ეზიდება თავის სოროში ჩვენს საცხოვრებელს. ამით ცოტა არ იყოს ხახა დაუპატარავდებათ, კუჭი დაადნებათ და აბა...

რათ ინდომებს ამას ჩარჩული ბურჟუაზიის ნაძირალობა!"

ქალების დედაკაცობაში გადაზრდისა და ოჯახების შენარჩუნების სურვილით იყო გაპირობებული შეხედულება განქორწინების წინააღმდეგ. აკრიტიკებდა რა ივანე გომართელს, რომელიც უგულებელჰყოფდა ოჯახს, ილია სწერდა: „ცოლქმრობის დარღვევა მძიმე და სათაკილო საქმეა და თუ არა დიდად პატივსადები მიზეზი, ძნელი გასაბედიაო". ქორწინების გაუქმება ილიას მიაჩნდა ცოლ-ქმრობის შემუსვრად, ოჯახის დაქცევად და წაწყმედად.

ილია ჭავჭავაძე ქალის, ოჯახის ინტერესებს იცავდა მოხრიგებელ მოსამართლედ მუშაობის დროსაც. იგი სასტიკად



ილია დუშეთის საზოგადოებაში—
მეორე რიგში მარჯვნიდან მესამე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სჯიდა ქალის დამჩაგვრელ და შეურაცხმყოფელ ქმარს, ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საქმე ეხება ქალთა სქესს და მას განსაკუთრებული პატივისცემა უნდაო. ილია ყოველმხრივ ხელს უწყობდა ოჯახის გამაგრება-განმტკიცებას და ცდილობდა ცოლ-ქმარს შორის მომხდარი უსიამოვნების აღმოფხვრას, ოჯახის შენარჩუნებას, თუ კი ამისი საფუძველი იქნებოდა. ეს ნათლად ჩანს ილიას მიერ გარჩეული მთელი რიგი საქმეებიდან. ილია ჭავჭავაძეს რომ შთაგონების დიდი ძალა ჰქონდა, ეს ჩანს მის მიერ ისეთი ცოლ-ქმრის შერიგებიდან, რომელთა შემდგომში ერთად ყოფნას ვერავინ წარმოიდგენდა. აი რას წერდა მომჩივარი ცოლი:

„მე სოფელ გრდანში მცხოვრებლის გლეხის ათანასე ბერიშვილის ასული მართა, ვაღიარებ ჩემის გულის პასუხსა შეუცვლელადა მასზედ, რომ მე არ მსურს ქმარათა ჩემი ქმარი გიორგი სიმონის ძე ყურაული და არც შემიძლიან მასთან სიცოცხლე და მეუღლეობა. ყველას ვირჩევ, გინდა ცეცხლით დამწოს მთავრობამა, გინდა თოფით დამხვრიტონ, არ მინდა, არ მინდა და არ მინდა. ყველა სასჯელს წინ დაუდგევარ და ქმარი კი არ მინდა არც ეს გიორგი ყურაული და არც სხვა ვინმე ხორციელი კაცი. ეს არის ჩემი ნათქვამი და ჩემს საკუთარ ხელს ვაწერ“.

ამ საქმის თაობაზე ილია წერს: „მე დუშეთის მომრიგებელმა მოსამართლემ განვიხილე საჩივრის არსი და ვპოვე, რომ მომჩივარის ცოლის მოქმედება, რაც მდგომარეობს ერთად ცხოვრების უარყოფაში, არ არის ისეთი მოქმედება, რაც ისჯება სისხლის სამართლის წესით, არამედ წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სფეროში შემავალ ცოლ-ქმრულ უფლებათა დარღვევას და ამიტომ ეს თხოვნა არც უნდა იქნეს მიღებული განსახილველად“.

ამის შემდეგ ნათქვამია: „ეს საჩივარი მიღებული იქნა ჩემს მიერ წარმოებაში მხარეთა შერიგების გამო.

მომრიგებელი მოსამართლე ი. ჭავჭავაძე“.

როგორც ჩანს, ილიამ ჯერ შეარიგა ცოლ-ქმარი და შემდეგ მიიღო მათი თხოვნა წარმოებაში იურიდიული წესით გასაფორმებლად. ისინი რომ ილიას გარეშე შერიგებულიყვნენ, მაშინ მათ თხოვნას არც მიიღებდა ილია წარმოებაში.

ოჯახის შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით ილია სასტიკად სჯიდა იმ ქალებსაც, რომლებიც თავიანთი უწესო საქციელით ჩირქს ცხებდნენ ოჯახის პატიოსნებას.

„სოფელ ტროუსის მცხოვრებმა გლეხმა ნ. გოძიაშვილმა, — წერს ილია, — ამაწლის 14 მკათათვეს წარმოადგინა თხოვნა თავის ცოლზე დოკე გოძიაშვილზე, რომ ეს უკანასკნელი სხვებზეა შეყვარებული, არა ჰსურს მასთან ცხოვრება, ამიტომ იგი, დასამტკიცებლად ამისა ემყარება მოწმეებს, რისთვისაც თხოულობს მის ცოლს მოექცნენ სისხლის სამართლის კანონით და დასაჯონ ესეთი საქციელისათვის“.

ილიამ განიხილა საქმე და ოჯახის, ქმრის შემარცხვენელ ქალს მონასტერში ან საპატიმროში 8 თვის ვადით ყოფნა მიუსაჯა.

არანაკლებ მკაცრი იყო ილია მოღალატე, ოჯახის დამანგრეველი მამაკაცების მიმართ.

ერთხელ ილიასთან სასამართლოში გამოცხადდა გლეხის ქალი ნათელა არაბული და თხოვნა შეიტანა ქმრის—კურდღელა არაბულის წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ ქმარმა „ერთი თვის წინათ სახლში მოიყვანა ხასა“.

საქმე დაინიშნა გასარჩევად. გამოცხადდნენ ნათელა არაბული და მოწმეები. კურდღელა კი დაიმალა. ილიამ გაზეთის საშუალებით გამოაცხადა ძებნა და მალე კურდღელა დააპატიმრეს. სამი თვის პატიმრობის შემდეგ კურდღელა არაბული მამასახლისის თავდებით გამოუშვეს.

საქვეყნოდ შერცხვენილმა კურდღელამ ხასა სახლიდან გაუშვა და პატიება სთხოვა ცოლს.

ეს უნდოდა ილიასაც და სიამოვნებით მოაწერა ხელი კურდღელას საქმის წარმოებით მოსპობას.

ნ. კევლიშვილი

* * *

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგვშორდნენ, ახალნი ხომ შენია...
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

წვრილ-შვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, გულმტკიცეხი,
მათის ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა, თუკი — მათ მიენდები.
მათის ღვაწლით შეგექმნეს სახე ბედით მთენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა,
მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...
ვერ წაბილწავს მათს გრძნობას სიმუხთლე, სიმრუდეა!
მათ თვის მკერდით შეჰმუსრონ მტერთა სიმაგრენია,
ჩემო კარგო ქვეყანავ, მაშ, რად მოგიწყენია?

15 სექტემბერი,
1872 წ.

* * *

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
რასაც ვემსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში
ბოროტთსაკლავად — მათ სულთ-ხდომის სეირს
ვუყუროთ.

თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი:
აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა
და დაე გვძრახონ, — ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი.

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!

ოქტომბერი, 1861 წ.
ყვარელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილიას მეუღლე

ქართველი ერის დიდი მოამაგის ილია ჭავჭავაძის მეუღლე ოლღა გურამიშვილი იმ სახელოვან ქართველ ქალთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც თავიანთი უანგარო მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დასტოვეს საქართველოს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ისტორიაში. ამ შესანიშნავი მანდილოსნის არსებაში სულიერ სიფაქიზესთან და მაღალ ზნეობრივ თვისებებთან შეთავსებული იყო მტკიცე ხასიათი და ვაჟკაცური ნებისყოფა. მისმა კეთილშობილებამ, თავმდაბლობამ, ხალხისა და ქვეყნის სიყვარულმა უდაოდ დიდად შეუწყო ხელი ილია ჭავჭავაძეს თავის მრავალფეროვან შემოქმედებით საქმიანობაში.

საგურამო, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ილიას ნაყოფიერი შემოქმედება, ოლღას მშობლიური სოფელია. სწორედ აქ, გორის უბანში, სადაც თვალს ბუნების წარმტაცი სანახაობა ხიბლავს, ჰპოვა ილიამ მყუდრო სავანე და თავის საყვარელ ოლიკოსთან ერთად გაატარა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველაზე ნაყოფიერი წლები.

ოლღა გურამიშვილი იმ გენეალოგიური შტოს ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელსაც მიეკუთვნება აგრეთვე დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი. ოლღა გურამიშვილი დაიბადა 1842 წლის 12 მარტს, ქვემო ავჭალაში, ქართლის შეძლებული მებატონის თადეოზ გურამიშვილის ფეოდალურ ოჯახში. მას დედა ადრე გარდაეცვალა. მამამ მალე მეორედ იქორწინა დავით დიასამიძის ქალზე მარიამზე. მარიამისაგან თადეოზს იდიოტი შვილები შეეძინა, რის გამოც ოჯახში აუტანელი გარემო შეიქმნა. ამიტომ ოლღას და მისი უფროსი დის ეკატერინეს პატრონობა და აღზრდა მამიდა სიდონიამ იკისრა. უშვილოდ დარჩენილმა მდიდარმა ქვრივმა სიდონია სავარსამიძემ ნამდვილი დედობრივი მზრუნველობა გაუწია ობოლ ძმისწულებს. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მან ოლღა თავისი ქონების კანონიერ მემკვიდრედ აღიარა. სიდონია დაინტერესებული იყო ძმისწულების არისტოკრატული აღზრდით. მან ისინი ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში შეიყვანა. 1854-1856 წლებში ოლღა ამ ინსტიტუტში იმყოფებოდა და წარმატებით სწავლობდა.

60-იანი წლებიდან ოლღა პროგრესული ახალგაზრდობის წრეში ტრიალებს და, როგორც განათლებული და საღად მოაზროვნე ქალი, თანაუგრძნობს მას. ის გაფაციცებით ადევნებს თვალს ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე გამართულ დისკუსიას „მამებსა“ და „შვილებს“ შორის. როცა ამ ჟურნალში ჩნდება ილია ჭავჭავაძის სტატიები, ოლღას სიმპათია ძველი თაობის მიერ განკიცხული ჭაბუკის მხარეზეა. მის არსებას მთლიანად იპყრობს ეს „მეამბოხე“ ახალგაზრდა. დიდი ბედნიერება იყო ოლღასათვის ის, რომ მან ილიას სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ილიამ სრულიად შემთხვევით თავის მეგობართა წრეში გაიცნო ოლღა და მოიხიბლა არამარტო მისი გარეგნული მშვენებით, არამედ ადამიანობითაც და სათნო ბუნებით. ამ ორი ადამიანის დიდ სიყვარულზე მეტყველებს მათი პირადი წერილები. ისინი ერთმანეთში ხედავდნენ სულიერ მეგობარს და ნაღველს თუ სიხარულს ერთმანეთს უზიარებდნენ. „რამდენადაც კაცს დიდი გრძნობის დატევა შეუძლია, იმდენად იგი დიდია. მე რომ მარტო ყვარელი მიყვარდეს და შენ მთელი კახეთი, შენ ჩემზე დიდი იქნები. და თუ იმისთანაც იქნება, რომ მთელი საქართველო უყვარდეს, ის ორივეზე უდიდესი იქნება. „აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა და დაე, გვძრახონ, ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი“ — ეს ჩემი ლექსი გახლავს თუ გაიხსენებ. ამ ლექსს გიგზავნი შენ და თან ვატან ჩემს საყვარელ ოლიკოსთან ზედ დაკვდომილს კოცნასა და ხვევნას“, — სწერს ილია მოსკოვიდან 1873 წელს ყვარელში მყოფ ოლღას.

ოლღა დიდად აფასებდა ილიას ამ სიყვარულს და პატივისცემას. ის თაყვანს სცემდა ილიას ნიჭს და უდიდეს ბედნიერებად თვლიდა ილიას გვერდით ყოფნას, დიდად უწყობდა მას ხელს შემოქმედებითს საქმიანობაში.

როგორც სამაგალითო მეუღლემ და ოჯახის კარგმა დიასახლისმა, ოლღამ უნაკლოდ მოიხადა მოვალეობა სამშობლოსა და ერის წინაშე. მართალია მას დედობა არ ღირსებია, მაგრამ როგორც ილია სწერდა: „დედობა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის. ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა. საქმე კარგი დედაკაცობაა, ქალს სხვა ბევრი რამ მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე“. ოლღამ სწორედ რომ გაამართლა ილიას სიტყვები და კარგ მეუღლეობასთან და დიასახლისობასთან ერთად, თავდადებული საზოგადო მოღვაწის უღელიც უყოყმანოდ იკისრა.



საგურამო, ილიას კაკლის ხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლღა ჭავჭავაძე იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრი და წლების მანძილზე ენერგიის დაუზოგავად შრომობდა მის სასარგებლოდ. ოლღას სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართველ ქველმოქმედ ქალთა იმ სახელოვან პლეადასთან, რომლის წარმომადგენლები იყვნენ: ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია თუმანიშვილი, დომინიკა ერისთავი, მარიამ ორბელიანი და სხვები.

„ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ სხვადასხვა ღონისძიებებს ატარებდა. ამ ღონისძიებების ორგანიზატორი ოლღა იყო. ოლღა გურამიშვილი ეკატერინე გაბაშვილთან ერთად ხელმძღვანელობდა ჭრა-კერვის სკოლას.

ოლღა არჩეული იყო ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის მზრუნველთა საბჭოს წევრად და მის თხოვნას ყოველთვის ანგარიშს უწევდა ინსტიტუტის ადმინისტრაცია. ასეთი საქმიანობისათვის ოლღას დიდად აფასებდა საზოგადოებრიობა.

ოლღა, ილიას ცხოვრების უახლოესი მეგობარი, წიწამურის სამარცხვინო ტრაგედიის მოწმე გახდა. ილიას მკვლელობის შემდეგ ჩაესვენა ოლღას ბედნიერების მზე. სულიერად და ფიზიკურად განადგურებული, თავს მხოლოდ იმით ინუგეშებს, რომ უკანასკნელი პატივი სცეს ილიას სახელს. ცნობილია, რომ ილიას მკვლელებს სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, მაგრამ რადგან ასეთი ღონისძიება ეწინააღმდეგებოდა ილიას კაცთმოყვარულ ბუნებას, მის იდეებს, ოლღამ სთხოვა გენერალ-გუბერნატორს შეეცვალათ სასამართლოს გადაწყვეტილება და სიკვდილით არ დაესაჯათ ილიას მკვლელები. ოლღას ჰუმანურ ნაბიჯს დიდი აღტაცებით და განცვიფრებით შეხვდა პრესა და საზოგადოებრიობა არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც. ოლღას სულგრძელობამ აღტაცებაში მოიყვანა დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი.



ოლღა გურამიშვილი ახალგაზრდობაში

ილიას სიკვდილის შემდეგ ოლღამ უარი განაცხადა ეცხოვრა იმ სახლში, სადაც ილიასთან ერთად ცხოვრობდა და მეუღლის ანდერძის მიხედვით თბილისის და საგურამოს სახლები წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა. მან დაბეჯითებით მოითხოვა საგურამოს ილიასეულ სახლში სკოლის გახსნა და შეძლებისდაგვარად დახმარებასაც დაპირდა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ საგურამოს ილიასეულ სახლში 1908 წელს გახსნა სკოლა. ამავე წელს ოლღამ სთხოვა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გამოეძებნათ მისთვის ბინა მთაწმინდის ახლოს. „მე მსურს ვიდგე მთაწმინდის უბანში, გზის პირას, — სწერდა ოლღა გამგეობას, — ამ ახალი ბინიდან მე ხშირად ავალ ხოლმე წმინდა დავითის მონასტერში ილიას ნეშტის თაყვანსაცემად. ამ სოფელში მე სხვა საგანი არა მაქვს, გარდა იმ სურვილისა, რომ ილიას სახელი ვადიდო და მოვიხსენო, მანამ პირში სული მიდგას“. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ ოლღა დააბინავა მთაწმინდის ქუჩაზე ქიქოძის სახლში (ამჟამად ჯიბოლაძის ქუჩა № 21). ამ სახლში იგი თითქმის ოცი წელი ცხოვრობდა. აქ გაატარა მან თავისი მწარე მოხუცებულობა.

უკანასკნელ წლებში ოლღა ფსიქიურად დაავადდა. მას პატრონობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც 1922 წლიდან არსებობდა „წიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი საზოგადოების“ სახელწოდებით. ოლღა ჭავჭავაძეს მზრუნველობას არ აკლებდა ამავე საზოგადოების წევრი მწერალი ქალი ნინო ნაკაშიძე, ხოლო მას, როგორც სულით ავადმყოფს, უვლიდა მარიამ ლუკიანოვა 17 წლის განმავლობაში.

ღრმად მოხუცებული ოლღა გარდაიცვალა 1927 წლის 26 აპრილს. ქართველი საზოგადო მოღვაწე ქალის ნეშტი პატივისცემით მიაბარეს მთაწმინდის მიწას ილიას გვერდით, რითაც აღასრულეს ოლღას დიდიხნის ოცნება.

ლიანა გიორგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნამდვილი კომუნისტის ხვედრის

გაზეთ „პრავდის“ მიმდინარე წლის 24 აგვისტოს ნომერში ამ სათაურით დაბეჭდილ მეთაურში ერთხელ კიდევ ხაზგასმულია, რომ კომუნისტი უნდა იძლეოდეს „მორალური სიფაქიზის, მაღალი ზნეობის, თავმდაბლობის ნიმუშს“, და რომ „სამწუხაროდ, კომუნისტთა შორისაც ჯერ კიდევ არიან უსულგულო, გულქვა, უპასუხისმგებლო ადამიანები“...

და ვიდრე ეს ფაქტია, ვიდრე ცალკეული ადამიანები (დაე, იყვნენ ისინი უმნიშვნელო ერთეულები) ჩრდილს ფენენ კომუნისტთა გმირული თაობის ნამოღვაწარს, გვიანი არ არის ვწეროთ და ვილაპარაკოთ ნამდვილ კომუნისტებზე. ისინი ყველგან არიან — საწარმოებსა და დაწესებულებებში; შახტებსა და მაღაროებში, საკოლმეურნეო მინდვრებსა და მეცხოველეობის ფერმებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და ხელისუფლების ორგანოებში. დაკისრებული საქმისადმი მათი დაუძლეველი ენთუზიაზმი, გმირული მღელვარება ავსებს ჩვენი ცხოვრების დღეებს და შთამაგონებლად სახავს მომავლის დიდებულ კონტურებს.

...ისინი ყველგან არიან, და თუ თქვენ თბილისის კალინინის რაიონული საბჭოს აღმასკომში მოხვდით, ამ ადამიანებს შორის პირველ რიგში ქეთევან ელისაშვილს დაგისახელებენ.

ჩემს წინ ქაღალდების მთელი გროვაა. ეს ამომრჩევლებთან დეპუტატობის კანდიდატის შეხვედრისას ნდობით აღჭურვილი პირის და ამომრჩეველთა სიტყვებია. სხვადასხვა თარიღი, ორატორთა გვარებიც არაა ერთიდაიგივე, მაგრამ ყველა მათგანში უცვლელად გამეორებულია სიტყვები: „გულისხმიერება“, „საქმისადმი ერთგულება“, „ენერგიულობა“. „ქეთევან ელისაშვილი“,—ვკითხულობთ ერთ-ერთ მათგანში,—დაკისრებული საქმის ნამდვილი პატრიოტია“.

...ეს იყო 27 წლის წინ. უზარმაზარ გაჩირაღდნებულ დარბაზში ამომრჩეველთა წინაშე იდგა ის, სრულიად ახალგაზრდა და ირგვლივ გამეფებულ ზეიმურ განწყობილებაში მის აღქმას სწვდებოდა მხოლოდ ბგერათა კომპლექტი: „გულისხმიერება“. დიაღ, ხალხი გულისხმიერებას იჩენდა მისდამი და ამასვე თხოულობდა მისგან, როგორც დეპუტატისაგან.

„ახლა, როცა იმ დღეს ვიგონებ, — ამბობს ქეთევანი, — ჩემს წარმოდგენაში ქრება დროისა და სივრცის შორეთი და ის სამახსოვრო დღე ხელმეორედ მოვლენილ სინამდვილესავით ცოცხლდება ჩემს თვალწინ. წითელ მაუდგადაფარებულ მაგიდასთან ცოცხალ ყვავილებს შორის მდგომს, სიყვარულითა და ნდობით მიმზერდნენ ადამიანები და მე მათ ვეუბნებოდი: „ვეცდები გავამართლო თქვენი ნდობა“.

გამოუცდელობის კრძალვითა და დაუფარავი მღელვარებით წარმოთქმულ ამ სიტყვებში ახალგაზრდა დეპუტატი თავისი ცხოვრების ლამაზ შინაარსს გამოხატავდა. ასე იყო 27 წლის წინ. და სიცოცხლის სიხალისითა და შინაგანი რწმენით აღსავსეს, მაშინვე სწამდა, რომ ასე იქნებოდა 27 წლის შემდეგაც. იმ დღიდან მოყოლებული ის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია.

ქეთევან ელისაშვილი ლენინური კომკავშირის იმ თაობის წარმომადგენელია, რომელიც კიდით კიდემდე მოედო უკიდეგანო სამშობლოს მთებსა და ველებს, ტაიგის უკაცრიელ ტრამალებში გზები გაიყვანა და ქარხნები ააშენა, ამურის უდაბურ ტევრში ქალაქი წამოჭიმა და ქარიშხლიანი სიმღერებით აახმიანა უდაბნოს საუკუნოვანი მყუდროება, ახალგაზრდული გზნებითა და გატაცებით გაჰყვა უფროსი თაობის რევოლუციურ მარშს და ბრძოლა გამოუცხადა დახავსებულობას და რუტინას, უკულტურობასა და ჩამორჩენილობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში.

„1932-42 წლებში, ამბობს ის, — მე ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის წევრი ვიყავი და ყველგან თან მდევდა სიამაყე ამ საპატიო წევრობის გამო.“

ყველგან დამკვრელური შრომის ვახტები იყო. და თუმცა მას პირადად არცერთი აგური არ მიუტანია ამურის კომსომოლსკის მშენებლობაზე, როცა 1933 წელს პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ საბავშვო ბაღში იწყებდა აღმზრდელად მუშაობას, სასოებით დგებოდა იმ დიდი ხარაჩოს წინ, რომელიც მომავლის შენობას სახავდა. აქ მთავარი იყო ის, რომ მას ჰქონდა კარგი განზრახვა და იმის ღრმა შეგნება, რომ მასზე დაკისრებული პატარა საქმე საერთო დიდი საქმის განუყოფელი ნაწილი იყო.

მის ცხოვრებაში არაა ტრიუმფალური წინსვლები, და როცა მისივე ხელით დაწერილი ავტობიოგრაფია წავიკითხე, ვერც ერთ განსაკუთრებით საგულისხმო მომენტს ვერ წავაწყდი:

„1934-38 წლებში ვმუშაობ 26 კომისრის რაიონული საბჭოს აღმასკომში საერთო განყოფილების გამგედ. ამავე დროს სწავლას ვაგრძელებ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე.

1939 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შეიქმნა თბილისის ახალი რაიონი, რომელიც კალინინის სახელს ატარებს. 1939-42 წლებში ვმუშაობ აქ ინსტრუქტორად, 1942 წლიდან დღემდე კი აღმასკომის მდივნად. 1942 წლიდან ვარ კომუნისტური პარტიის წევრი, 1940-43 წლებში ვიყავი აღმასკომის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, 1943 წლიდან ჯერ პარტბიუროს მდივნის მოადგილე, მერე პარტბიუროს მდივანი, ამჟამად პარტბიუროს წევრი. ვარ რაიკომის სარევიზიო კომისიის წევრი, ამხანაგური სასამართლოს წევრი. მრავალჯერ ვიყავი არჩეული თბილისის საქალაქო და კალინინის რაიონული პარტიული კონფერენციების დელეგატად. დაჯილდოებული ვარ მედლებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, მადლობებით და ფასიანი საჩუქრებით...“

მაგრამ არის დაუწერელი ბიოგრაფიაც, რომელიც მრავალმხრივ საგულისხმო, მისაბაძი და ყურადსაღებია. ესაა ქეთევან ელისაშვილის ყოველდღიური საქმიანობა, ადამიანებთან მისი დამოკიდებულება. რაიაღმასკომის მდივნის ერთი შეხედვით მოსაწყენი, ერთფეროვანი მუშაობა მან ცოცხალ, პრაქტიკულ შემოქმედებამდე აიყვანა. და ამ შემოქმედებით შრომაში ჩააქსოვა ადამიანობის ნიჭის მთელი ბრწყინვალება.

„აღმასკომის მდივნის მუშაობა მოგვაგონებს ოჯახში კარგი დიასახლისის საქმიანობას“, — შენიშნავს ის.

მასთან მიდიან ახსნა-განმარტებისათვის, კონსულტაციისათვის, საბუთების შესამოწმებლად, ცნობების გასაცემად, სამუშაოზე მოწყობის, შუამდგომლობის აღძვრის, ბინით უზრუნველყოფის, დავის მოწესრიგების საკითხებზე, განცხადებებზე, საჩივრებზე, პასუხებზე... მოდიან კმაყოფილნი და უკმაყოფილონი, აუღელვებელნი და აღელვებულნი. მოდიან აქ და თხოულობენ მხოლოდ დამაკმაყოფილებელ პასუხს მათთვის საარსებოდ მნიშვნელოვან საკითხებზე, თხოულობენ გულისხმიერებას და ქეთევან ელისაშვილი ხომ გულისხმიერების ოსტატია! მას აქვს დიდი ადამიანური უნარი თანაგრძნობისა, საქმის დედაარსში ზედმიწევნით გარკვევისა და ყველა შესაძლო ვარაუდს შორის უფრო სწორის, უფრო მისაღების გამოძებნისა. როცა მადლობის სიტყვებს ისმენს, ბავშვივით წითლდება. მოქალაქე უტკინა მიდის მასთან და ეუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნება: „მე აღფრთოვანებული ვარ თქვენი ყურადღებით, მოვედი, რომ ერთხელ კიდევ გითხრათ გმადლობთ“. ვინმე მოწონელიძე მაგრად ართმევს ხელს და მიმართავს: „თქვენ შესანიშნავი ადამიანი ბრძანდებით“. მოსაცდელში ზეინკალი სიფრაშვილი გატაცებით ყვება მისი გულისხმიერების ამბავს. საქმეში ასეთ უაღრესად აკურატულ ქალს აი რა „ქრონოლოგიური ნუსხები“ გამორჩა თავისი ბიოგრაფიიდან.

ქეთევან ელისაშვილი თავისი რაიონის დიდი პატრიოტია. მის თვალწინ შლის მხრებს დედაქალაქის მშვენება — კალინინის რაიონი. ამ რაიონის წარსული, აწმყო და მომავალი გადმოსცა მან სქელტანიან ილუსტრირებულ შრომაში, რომელიც ჯერჯერობით, სამწუხაროდ, მხოლოდ ხელნაწერის უფლებით არსებობს.

როგორც ადამიანი, რომელსაც ზედმიწევნით აქვს შეგნებული თავისი ვალი აწმყოს წინაშე, ქეთევან ელისაშვილი გატაცებით ლაპარაკობს მომავალზე. და ახლა, როცა მასზე წერას ვამთავრებ, უნებურად კვლავ თვალწინ მიდგება მისი ცხოვრების ისტორია. მე ვხედავ მას გაზეთ „მოლოდეჟ გრუზიის“ ერთ-ერთ ომამდელ ნომერში გამოქვეყნებულ ფოტოსურათზე ახალგაზრდებს შორის, რომლებიც კომკავშირული საგზურებით ფაბრიკა-ქარხნებში იგზავნებიან. ის ისეთივე მხნეა, როგორც დღეს, მაგრამ ჭაღარა არა აქვს თმაში. მე ვხედავ მას გაზეთ „კომუნისტის“ ომის წლების ფერგადასული ფურცლებიდან, როგორც ზურგში მოწყობილი შაბათობების ორგანიზატორს. დაბოლოს, მე ვხედავ მას უკვე ახლა თავის მაგიდასთან თავდახრილს, კომუნისტ-დეპუტატს, ხალხის 27 წლის მსახურს, რომელიც თითქოს სხვათაშორის, თითქოს თავისთვის შენიშნავს: „მთელი ჩემი მუშაობის მანძილზე მე ვცდილობდი დროის ამოცანების სიმაღლეზე ვმდგარიყავ“.

დრო კი მიდის ჩვეული სიდინჯით და ყოველი დღე სანუკვარი ორი ათწლეულის გმირულ ისტორიას ქმნის. ეს ისტორია იწერება ჩვენი ადამიანების შრომით. არიან სკეპტიკოსები, რომლებსაც კომუნიზმი კვლავ შორეული მომავლის საქმე ჰგონიათ. მე მწამს ორი ათწლეულის სასწაულები, რადგან იქ, რაიონული საბჭოს აღმასკომის პატარა, მყუდრო ოთახში თავისი საქმის ენთუზიასტი ქალი ზის, რომელმაც იცის, რომ კომუნისტებს არა აქვთ რაიმე პრივილეგია, მათ მხოლოდ მეტი მოვალეობა აკისრიათ. მე მწამს კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის ოცწლეულის ყველა სასწაული, რადგან ამ ბრძოლის ავანგარდში ვხედავ კომუნისტებს, რომლებიც მოვალეობისადმი კეთილსინდისიერ მიდგომას ყოველგვარ პრივილეგიაზე მაღლა აყენებენ.

ნანული ქოჩიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვისი შვილი

მხატვარი ლ. შენგელია

— ეს ბიჭუნების ოთახია, — მითხრა ექიმმა და ფართოდ გამიღო კარი. ცნობისმოყვარეობით მიმოვიხედე... დიდ, ნათელ დარბაზში თეთრხალათიანი ბავშვები დახტოდნენ, ასკინკილას თამაშობდნენ, ხორთუმზე თოკმობმულ ნაჭრის სპილოს იატაკზე დაახოხებდნენ.

უფროსის დანახვაზე ფანჯრის რაფასთან მიმდგარ მომვლელებს სალაპარაკო გაუწყდათ, გაინაბნენ.

ბიჭუნები კი მაინც დარბოდნენ. „საშინელებაა ასეთ ხმაურში ცხოვრება!“ — გავიფიქრე და მომვლელებს გადავხედე. მათმა სიმშვიდემ გამაოცა...

— ვაჟა როგორაა? — იკითხა ექიმმა.

— სძინავს, ბატონო! — მოახსენა ახალგაზრდა ქალმა, შავი ღურღუზა თმა ცალ მხარეს რომ ჩამოშლოდა. მისმა პასუხმა ექიმი თითქოს არ დააკმაყოფილა, უცებ შეტრიალდა და მომვლელ ქალს გაჰყვა. ახალგაზრდა ქალმა გვერდითი ოთახის კარის სახელური ფრთხილად გადაატრიალა, კარი გააღო და გზა დაგვითმო.

პატარა ოთახში ერთადერთი საწოლი იდგა. თეთრ, ქათქათა ლოგინში სუსტი, ფერმკრთალი ბიჭუნა იწვა. მისი სახის მქრქალი კანი და შეშუპებული უპეების მომწვანო ფერი ჯარგს არაფერს ამბობდა ამ ბავშვის ჯანმრთელობაზე. იგი პირაღმა იწვა. გამხდარი ხელები გულზე დაეწყო. ექიმმა ერთხანს უყურა ქვეშაგებში ჩაფლულ ბავშვს და შემდეგ მაჯა ხელში აიღო.

ვაჟამ თვალები გაახილა, უაზროდ მიაშტერდა ექიმს და სიცხისაგან გამშრალი ტუჩები ააწკაპუნა.

— წყალი მინდა. — დაიკვნესა და პირისახე საცოდავად დაემჭა. მომვლელი ქალი საწოლს მოშორდა, სურიდან ციცქნა ფინჯანში წყალი ჩაასხა... მე გარინდებული ვიდექი და ავადმყოფს შევცქეროდი, რატომღაც ეს უსუსური ბავშვი ზამთრისაგან დათრთვილულ ყვავილს მაგონებდა... დასაღუპად განწირულ ყვავილს.... გული მეტკინა. ექიმმა მაჯას ხელი შეუშვა.. მომვლელმა თავი წამოუწია და წყალი დაალევინა. ბავშვი გვერდზე გადაბრუნდა, მის წინ მდგარი მხოლოდ ახლა შემამჩნია. შემომხედა.. კარგახანს ჩუმად მიყურა.

—ჩემი დედიტო, — სუსტი ხმით წამოიძახა და ასადგომად წამოიწია..

ადგილზე გავქვავდი.

— ვაჟა, ვინაა შენი დედიკო? — მიუალერსა ექიმმა.

—ჩემი დედიტო!..—საჩვენებელი თითი ჩემსკენ მომართა ბავშვმა. ექიმმა მრავალმნიშვნელოვნად გადმომხედა. სიტყვის სათქმელად ტუჩები შევარხიე, მაგრამ შიშისაგან აზრი გამიწყდა. „ამას ვერ გავზრდი“ — გავიფიქრე და ნერწყვი გადავყლაპე.

— ვაჟა, მანდარინი მოგიტანე, — და ექიმმა სურნელოვანი ნაყოფი გამხდარ ხელში ჩაუდო. სიცხიან ბავშვს ესიამოვნა ცივი საგანი, მანდარინი ლოყაზე მიიდო, შემდეგ მე გამომიწოდა.

— სენ გქონდეს, დედიკო!

ცრემლი ყელში მომაწვა.

— გინდა გაგიფცქვნა? — ძლივს ამოვიღე ხმა.

— სენ გქონდეს! — ალერსით მომაპყრო სიცხისაგან აცრემლებული თვალები.

— მანდარინი არ მიყვარს, ვაჟა! მე ამას შენ გაგიფცქვნი! — მივუალერსე პაწიას და მანდარინის ერთი ლებანი სათუთად მივუტანე ბაგეებთან.

ექიმმა ოდნავ განზე გამიხმო და ხმადაბლა მითხრა:

—თვითონ ბავშვმა აგირჩიათ, იქნებ უარი არ უთხრათ დედობაზე?

— „ამას ვერ გავზრდი!“ — კვლავ წამჩურჩულა გულმა, ხოლო ფიქრი რომ არ გამეცა, სათქმელი შევარბილე.

— იცით რა, ექიმო, მე გოგო მინდა? — ვთქვი და შევკრთი, შეშინებულმა გადავხედე ბავშვს. კიდევ ერთხელ დავინახე მისი გამხდარი სახე, ყვრიმალის ძვლები რომ უჩანდა.

ყველა ქალი დედობას ნატრობს და მოუთმენლად ელის იმ დღეს, როცა პირმშო დედას დაუძახებს. მე ადრევე ვოცნებობდი ასეთ სიხარულზე, მაგრამ მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. მოლოდინმა არ გამიმართლა. საკუთარი შვილის სიყვარულით ვერ დავტკბი, დედობა ვერ დავიკვეხე.

ცოლქმრული ცხოვრების ოცი გაზაფხული დავთვალეთ... ჩვენი სახლის ჭერქვეშ მერცხლებმა ოცჯერ იბარტყეს. ჩვენ კი ისევ ორნი ვიყავით.

—გიორგიმ ვიღაც იშვილა. რა იქნება ერთი პატარა ჩვენც გავზარდოთ? —გამიმხილა ერთხელ ქმარმა თავისი დიდიხნის წადილი.

— ის ხომ ჩვენი არ იქნება? —სიტყვა მოვუჭერი მაშინვე.

— ამაგს და შრომას ვერავინ წაგვართმევს, ამაგი და შრომა კი სიყვარულს წარმოშობს.

— შრომას შვილის სიყვარულთან რა ხელი აქვს? — ჯიუტად მივუგე, რომ სიტყვა ბანზე ამეგდო. ის გაჩუმდა.

მარტო დარჩენილს ფიქრები არ მასვენებდნენ, ქმრის სიტყვები სხვისი შვილის აყვანისა და გაზრდის შესახებ უსიამოვნოდ ჩამწიოდა ყურებში. რას არ ვფიქრობდი, რაზე არ ვოცნებობდი; შვილად აყვანის რამდენიმე შემთხვევას გონების თვალით ვწონიდი, ნახულსა და გაგონილს ვამოწმებდი, ზოგი დედის ბედი ნამდვილად მომწონდა, ზოგიერთის მაშინებდა..

„სხვისი შვილი ჩემს გულში თბილ ადგილს ვერ იპოვის!“

„სხვის შვილს რა შემაყვარებს!“ ვებაასებოდი საკუთარ თავს. ის დღეც გულის გამაწვრილებელი ფიქრებით დავაღამე. როდესაც ქმარი სამსახურიდან დაბრუნდა, შევეცადე ისევ შვილზე ჩამომეგდო სიტყვა, მაგრამ ის სდუმდა.

— თუ გიყვარდე, გამომეპასუხე! — შევეხვეწე ქმარს. მას გაეღიმა.

— ჩემსას მაინც არ დაიჯერებ, ცარიელ ლაპარაკს აბა რა აზრი აქვს?

— როგორ ფიქრობ, აყვანილ ბავშვს ვეყვარებით? — ეჭვი გამოვთქვი.

— როცა გაზრდი, შვილი იქნება, აყვანილი არ ერქმევა... ის შენი იქნება, შენი, საკუთარი, — მომიგო მეუღლემ, —საეჭვო ფიქრებით თავს რად იტკიებ? ადექი და მოიყვანე ერთი ბუთხუზა ბავშვი. გავზარდოთ. ის ჩვენთვის შვილიც იქნება და ბედნიერებაც!

— თუ მოვიყვან, იცოდე, გოგო იქნება! — ახლა უკვე ახალი სურვილი გამოვამჟღავნე...

— შენი ნებაა... ოღონდ მოიყვანე, მშობლისათვის ბიჭი თუ გოგო სულ ერთია.

— მაშ, ხვალ წავალ.

— ძალიან კარგს იზამ.

შევთანხმდით. გარიჟრაჟის მოლოდინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ღამე თეთრად გავათენე. ათასი ფიქრი და ეჭვი მაწვალებდა. მეგონა ჩემი გული შვილის მისაღებად ჯერ კიდევ არ იყო შემზადებული, მაგრამ ქმრის სურვილის უარისყოფა უკვე აღარ შემეძლო. მაგონდებოდა მეზობელი ქალის სიტყვებიც: „ცოლქმრულ ცხოვრებაში შეიძლება უნებლიე ბზარი გაჩნდეს და ის შვილის სიყვარულმა უნდა ამოლესოსო!“

უსიამოვნო ფიქრებით დატვირთული გავედი სახლიდან თავს მხოლოდ იმით ვინუგეშებდი, რომ არჩევანი ჩემი იყო... ისევე, როგორც დედოფალას ირჩევენ ხოლმე, მეც შემეძლო ლამაზი ბავშვი ამეჩრჩია... აქ კი ბავშვმა ამირჩია მე, უსუსურმა, ავადმყოფმა ბავშვმა, ჩემი სურვილის წინააღმდეგ, ჩემი გულისთქმის წინააღმდეგ და ეს იყო პირველი ბავშვი, რომელმაც პირველად დედა მიწოდა... მე კი მისი დედობა არ მინდოდა, რადგან იგი იყო გამხდარი... ულამაზო... ყინვისაგან დათრთვილული ყვავილივით უფერული...

მომვლელი ქალი ჩემს ლამაზ ფეხსაცმელს დააკვირდა. მის სახეს წყენის ჩრდილი გადაეფინა. იგი სდუმდა, მაგრამ მისი თვალები სამდურავს გამოთქვამდნენ... მას არ მოვწონდი. ისიც შევატყვე, რომ ვაჟა ჩემთვის კიდეც ენანებოდა.

— ეს ბავშვი ჩქარა გამოკეთდება, — სცადა ექიმმა ჩემი გული მოელბო, მაგრამ მისი სიტყვებისათვის ყური არ მითხოვებია. მე გოგონა მინდოდა, ლამაზი და გულმისაზიდი.

— აკი გითხარით, გოგო მინდა მეთქი!—უკმაყოფილოდ მივუგე და არეული ნაბიჯით მეზობელ ოთახისაკენ გავეშურე.

— დედიტოო! — დაიკვნესა ვაჟამ და ტირილით თვალი გამაყოლა.

ავადმყოფი ბავშვის ცრემლები მწარე ტკივილად ჩამეღვენთა გულში და უსიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა.

— მე მალე მოვალ, ვაჟა, — ცარიელი სიტყვა ვესროლე ატირებულს და კარებს მივეფარე.

— აქ გოგონები არიან! — ნელი ამოოხვრით მითხრა ექიმმა.

შესასვლელთან ხმაგაკმენდილი დავდექი და დარბაზის შუაგულში დახვავებულ სათამაშოებთან მოფუსფუსე ბავშვებს უაზროდ დავუწყე თვალიერება. ისინი ბიჭუნებზე ნაკლებ ცელქები ჩანდნენ, ხმაურიც ნაკლები იყო იმ ოთახში. „ჯანმრთელი ბავშვი დედის სიხარულია“ — თვალი შევავლე კედელზე გაკრულ დასურათებულ ფურცელს... გულის სიღრმეში თითქოს ძარღვი ჩამწყდა. მოლანდებასავით კვლავ ვაჟა დამიდგა თვალწინ. პაწია ხელებით საბნის შალითას რომ ჩასჭიდებოდა.

— ხომ კარგი ბავშვები გვყავს? — მკითხა ექიმმა.

— დიახ, კარგები არიან, — მივუგე და მისდამი მტრული გრძნობით ამევსო გული „რა იქნებოდა, თავიდანვე აქ შემოვეყვანე?“

— იმ ბავშვს რა ჰქვია? —თვალით ვანიშნე ოთხიოდე წლის ხუჭუჭთმიან გოგონაზე, რომელიც ფარდაგზე მოკალათებულიყო და საგულდაგულოდ ახვევდა დედოფალას...

— მაყვალა, აქ მოდი! — ალერსიანად დაუძახა ექიმმა.

ბავშვმა ჭრელ ნაჭერში შეხვეული დედოფალა გულში ჩაიხუტა და გაუბედავი ნაბიჯებით წამოვიდა ჩვენსკენ.

— მოგწონთ? ნამდვილად კარგი ბავშვია... გირჩევთ წაიყვანოთ!

— მომწონს!

— მაყვალა, აი, დედა მოგივიდა, იგი შენ შინ წაგიყვანს, დიდ, ლამაზ დედოფალას გიყიდის! — დაუყვავა ექიმმა და ლოყაზე თითი მოუცაცუნა.

ბავშვი განზე გადგა და უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

— ეს არ არის ჩემი დედა!

მე ტუჩზე ვიკბინე.

— მაყვალა, ჩემო საყვარელო, მე სხვაგან ვიყავი, შენ კი დაგავიწყდი! — მინდოდა ბავშვის გული მომეგო და ალერსით გამოველაპარაკე.

— არა, შენ არა ხარ ჩემი დედა!— ჯიუტობდა იგი.

— არ გინდა, რომ შენი დედა გავხდე? —

— არ მინდა!.. მე ჩემი დედა მინდა!

ძალზე მეწყინა. ნერვიულობისაგან ცხვირსახოცს დავუწყე სრესა.

— დედიტოო, დედიტოო! — ჩამესმა ვაჟას ტირილი.

გულმა იქით გამიწია, თეთრი საწოლისაკენ.

— წავიდეთ! — ვთხოვე ექიმს.

—როგორ! წასვლას აპირებთ? — გაუკვირდა მას.

— ვაჟასთან წავიდეთ, მე მხოლოდ მისი დედობა მსურს, — მღელვარედ წარმოვთქვი და იმავე წუთს სიმხნევე ვიგრძენი, არა თუ სიმხნევე, სიამაყეც.

ექიმს არაფერი უთქვამს, ოთხად დაკეცილი ცხვირსახოცი გაშალა და მელოტ თავზე ღონივრად მოისვა.

ლამარა გვაზავა-სანაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბელინსკის ქუჩა №2

„თბილისი, ბელინსკის ქუჩა № 2, ჩემ შვილს, ქსენია გოჩიტაშვილს“, ეწერა კონვერტზე. დამტარებელმა იცოდა, რომ წერილი ბოდბელი კაცის, ივანეს გამოგზავნილი იყო.

...და აი, მაღალი, ძალიან მაღალი ცაცხვისა და თუთის ხეებით დაჩრდილული ღია ეზო. ფართო აივნიანი ოთხსართულიანი სახლი. მეორე სართულზე, დიდი კიბის თავზე, პატარა ოთახში სამი უბრალო რკინის საწოლი დგას. აქ უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელია, სადაც სამი სტუდენტი გოგონა ცხოვრობს. ერთი მათგანი ფანჯარასთან მიდგმული საწოლიდან ყველაზე ადრე დგება. ბინდ-ბუნდში აივნიდან წიგნის ფურცვლა და ჩუმი ჩურჩული მოისმის. შემდეგ მეზობლებს ესმით ბაკა-ბუკი გრძელ კიბეებზე და იციან, გოგონა უნივერსიტეტში მიდის...

საათის ისარმა უთვალავჯერ შემოუარა ციფერბლატს, უთვალავჯერ გადაიფურცლა კალენდარი. ვინ დასთვლის, რამდენჯერ იწვიმა და რამდენჯერ ჩარეცხა ნიაღვარმა ბელინსკის დაღმართი, რამდენჯერ შეათეთრეს თუნდაც, ის დიდი, მაღალი სახლი.

იმ პატარა ოთახში კი ფანჯარასთან საწოლი ისევ დგას. კვლავაც გვიანობამდე ციმციმებს სარკმელიდან სინათლე. მას შემდეგ ამ სტუდენტობის დროინდელ ოთახში დაიწერა მრავალი სამეცნიერო შრომა. კიბეებზე ფეხის ხმა დამძიმდა. დაღმართზე ჩამავალ ქალს თმა ისევ ისე მოკლედ შეჭრილი აქვს, ძნელად შეამჩნევთ თეთრს, სათვალეებს ატარებს.

დოცენტი ქსენია გოჩიტაშვილი საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვების კათედრის გამგეა.

ის ლექციების შემდეგ თითქმის ყოველდღე მიდის კრწანისის სასწავლო-ექსპერიმენტალურ მეურნეობაში, სინჯავს წინადღეს მიღებულ ცილოვან საფუარს, თბილ წყალში აზავებს ჩვეულებრივი რძის ტემპერატურამდე და თავის ხელით აჭმევს ხბოს. შემდეგ, როგორც კი ხბო კონცენტრირებული საკვების ჭამას მიეჩვევა, ცილოვან საფუარს აძლევს მარცვლეულ კონცენტრატებთან ერთად. შვიდი-რვა წლის სისტემატური ცდისა და დაკვირვების შედეგად ქსენიამ უბის წიგნაკში ჩასწერა:

„ხბოს გამოზრდისას ნორმით გათვალისწინებული მოუხდელი რძის ნაწილობრივი შეცვლა ცილოვანი საკვები საფუარით ეფექტური ღონისძიებაა. იგი საგრძნობლად ამცირებს მოუხდელი რძის ხარჯვას და არ აფერხებს მოზარდის ნორმალურ ზრდა-განვითარებას. ხბოს კვებისას ნორმით გათვალისწინებულ ოთხ კილოგრამ მოუხდელ რძეს ცვლის ერთი კილოგრამი ცილოვანი საკვები საფუარი“.

ქსენია გოჩიტაშვილმა რესპუბლიკის თითქმის ყველა მეფრინველეობის ფერმიდან საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვების კათედრის სახელზე მრავალი განცხადება და თხოვნა მიიღო. წერილები იტყობინებოდნენ გალიურად გამოსაზრდელი წიწილების დიდი სიკვდილიანობის შესახებ, რასაც იწვევდა ცილის ნაკლებობა ფრინველების საკვებში. კათედრის გამგეს საკონსულტაციოდ იწვევდნენ ფერმებში.

დიდუბის საინკუბატორო სადგურში საკონსულტაციოდ მისულმა ქსენია გოჩიტაშვილმა მომვლელი ქალი, ზოოტექნიკოსი გოგუცა ესართია გააფრთხილა: საკვებ ულუფაში ეწრალი, მოხდილი რძის ფხვნილის მაგიერ მცირე რაოდენობით მცენარეული წარმოშობის ჰიდროლიზური ცილოვანი საკვები საფუარი შეერია. კარგა ხნის დაკვირვების შედეგად გამოვლინდა ცილოვანი საკვები საფუარის ეფექტიანობა, რის მეოხებითაც წიწილების სიკვდილიანობა ლიკვიდირებულ იქნა. ამ საკითხზე დაწერა ქსენია გოჩიტაშვილმა კიდევ ერთი სამეცნიერო შრომა.

ცილოვანი საკვები-საფუარის ლაბორატორიულმა შესწავლამ მალე გახსნა მისი შემადგენლობის საიდუმლოება. ქსენია გოჩიტაშვილმა იცოდა, რომ ხე-ტყის ნარჩენებისაგან, სოჭისა და მურყნის მერქნიდან ქაღალდის კომბინატში ცელულოზს ხარშავენ, ხოლო შემდეგ მისგან სხვადასხვა სახის ქაღალდს ამზადებენ, ცელულოზის ხარშვისას წარმოქმნილი თუთქი კი შეიცავს უმარტივეს შაქრებს. სწორედ ეს შაქრები შედიოდა საკვებ საფუარში.

დაისვა საკითხი საფუარის წარმოების ბაზის შექმნის შესახებ. ამ დიდად სასარგებლო, საშვილიშვილო საქმის შესრულება ზუგდიდს ხვდა წილად, სადაც მოშავო ფერის თუთქი წლების მანძილზე გამოუყენებლად იკარგებოდა ენგურში.

კომბინატის ეზოში ახალი დიდი საამქრო ააშენეს, სადაც ნიაღვარივით წამოვიდა ცილოვანი საკვები-საფუარი.

ლაბორატორიაში ქსენია გოჩიტაშვილმა ანალიზი გაუკეთა ზუგდიდის ქარხანაში დამზადებულ ჰიდროლიზურ-ცილოვან საფუარს და აღნიშნა:

—ჩვენი საკვები-საფუარი ვიტამინიზირებულია და ცილის შემადგენლობის მხრივ გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე კრასნოიარსკისა, კანსკისა და სხვათა ქარხნების მიერ დამზადებული. თუ მათ საფუარში 350-დან 470 გრამამდე ცილა შედის, ჩვენი საფუარი 500-520 გრამ ცილას შეიცავს. ამასთან, ჩვენი ქარხნის მიერ დამზადებული საფუარი ფხვნილის სახითაა და არ მოითხოვს წინასწარ შემზადებას, გაფხვიერებას, დაფქვას ე. ი. ზედმეტ ხარჯებს.

ამჟამად რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების ძირითადი საფუძველი ცილოვანი საკვებით უზრუნველყოფაა. ეს იცის ქსენიამ და უხარია, რომ თუ აქამდე ოც-ორმოც ტონა ცილოვან საფუარს გვიგზავნიდნენ სხვადასხვა ქარხნები, და ისიც ცდებისათვის, ახლა მარტო წელს ათას ტონაზე მეტ პროდუქციას მოგვცემს ენგურის ქარხანა.

— ოჯახი, ქმარშვილი კიდევ უფრო მეტ სიხარულს მოგანიჭებსო, — ხშირად აგონდება ქსენიას დედის სიტყვები, მაგრამ ის მარტო დარჩა საყვარელ წიგნებთან. სამეცნიერო შრომები კი მატულობს. დროს მაინც თავისი მიაქვს, წელიწადებს კვალი დაუმჩნევია სახეზე. ფანჯარასთან საწოლი შეცვლილა. ოთახში ყოველ ნივთს გემოვნება ატყვია. დილით ისევ ადრე დგება, სტუდენტებთან მიდის, სადაც მის ლექციებს ყურადღებით ისმენენ.

ქეთევან ხახუტაშვილი

ფოტო ავტორისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფართობიდან ფართობში



ღამეა. მესამედ იყივლეს მამლებმა. ორღობეში ფეხის ხმა გაისმა. ნაგაზი ჭიშკარს მიაწყდა ყეფით. ოდის კარმა გაიჭრიალა. ლამპით ხელში ჭაღარა ქალი გამოვიდა, თვალზე ხელი მოიჩრდილა. ეზოში ვიღაც შენიშნა და...

— რომელი ხარ,— იკითხა.

— მე ვარ, დედა, — გაეპასუხა ქალი.

— დიდუ, ნანა, ვის უნახავს დღე და ღამე სახლში არ იყოს ქალი. გადამრევს ეს ძღაბი, — აბუზღუნდა მოხუცი.

ქალმა კიბეები ამოირბინა. დედას ხელი მოჰხვია, აკოცა და ტკბილად უთხრა:

— როცა საქმე მოითხოვს, დღე და ღამე ვინ გაყო, დედა. სად გვცალია დასასვენებლად.

— ნეტა, როდის მოიცლი! შენი შეხედვა მენატრება, ნანა. — სთქვა გულდაწყვეტით დედამ.

მართლაც, იშვიათად თუ ნახავთ სახლში რაისა შენგელიას. იგი ოცდასამი წელია მუშაობს აგრონომად ჩხოროწყუს რაიონში. ოცდასამი წელია დღედაღამეს ასწორებს მისი რაიონის, მისი ხალხის საკეთილდღეოდ. ამ რაიონში დაიბადა იგი, სოფელ ჭოლაში, აქ აიდგა ფეხი, აქ დაქალიშვილდა...

1940 წელს დაამთავრა რაისამ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი, დაამთავრა და თავისი რაიონისკენ გაიწია. ჩხოროწყუში მაშინ ჩაის კულტურას ახლად ეყრებოდა საფუძველი. რაიონმა ამ პატარა გოგონას მიანდო ეს ვეებერთელა საქმე. ღამეებს ათენებდა გოგონა, ეშინოდა, ღელავდა. მამლის ყივილამდე ასწრებდა 10-15 კილომეტრის გავლას. ხან ცხენით, ხან ფეხით დაქროდა სოფლიდან სოფელში. სად არ ნახავდით მას: ხაბუმეში, მუხურში, ზუმში, კირცხში, ლესიჭინეში, ახუთში, ნაკინში, ჭოლაში...

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებთან ერთად ამოწმებდა ნიადაგს, ატარებდა თათბირებს, ასწავლიდა კოლმეურნეებს თუ როგორ უნდა დაემუშავებინათ ნაკვეთი, რათა მიეღოთ ჩაის უხვი მოსავალი. და იკაფებოდა ეკალ-ბარდები, გუგუნებდნენ ტრაქტორები, ითხრებოდა არხები, ფხვიერდებოდა ნიადაგი, შეჰქონდათ სასუქი და ითესებოდა ოქროს კაკლები.

რაისამ ისიც იცოდა, სად იხარებდა ტუნგო. ტუნგოს ხომ მშრალი ადგილი უყვარს, მთის კალთები. სათბურში გამოჰყავდა ნერგი. დავს დასტრიალებდა, ამოწმებდა ყოველდღე. როცა ერთი მეტრის სიმაღლე გაიზრდებოდა, იცოდა, რომ ნერგის გადარგვა უშიშარი იყო და უნაწილებდა კოლმეურნეებს. თვითონ მიჰყვებოდა ფეხდაფეხ, ამოწმებდა ნიადაგს, იყო თუ არა მომზადებული ნერგისათვის და, ხალისიან შრომაში სწრაფად გარბოდა დღეები. გადაიჭიმა ჩაის და ტუნგოს პლანტაციები ხაბუმეში სამოცდაათ ჰექტარზე, ზუმში — 125 ჰექტარზე, ლესიჭინეში — 90 ჰექტარზე, და კიდევ ვინ მოსთვლის... მერცხლებივით აჭიკჭიკდნენ გოგოები ფართობებში და...

ომი დაიწყო. მამაკაცები წავიდნენ. ქალებს დააწვა მთელი საქმე თავზე. რაისა შენგელია 33 კოლმეურნეობას ემსახურებოდა. რაისას ოჯახიდან სამი მამაკაცი წავიდა. ოჯახში თუ გარეთ, საქმეს ვაჟკაცურად შეეჭიდა ქალი.

1942 წელს რაისა შენგელია პარტიის რიგებში შევიდა. მან იგრძნო, რომ უფრო გაიზარდა პასუხისმგებლობა. არ იყო ძილი, არ იყო მოსვენება. თავს არ იზოგავდა რაისა, რათა მხარი გაესწორებინა ფრონტზე წასული მეგობრებისათვის. მოდიოდა სამკუთხა წერილები, რომლებსაც მოჰქონდა სიხარული, ზოგჯერ მწუხარებაც. და მაშინ შავი გადაეფარებოდა სოფელს. რაისას ოჯახშიც ორჯერ მოვიდა იგი და დიდი მწუხარება მოიტანა. მაინც არ შედრკა ქალი.

დამთავრდა ომი. გამარჯვების სიხარულმა განკურნა დაკოდილი გული. ისევ ახმაურდა სოფელი, ისევ გაისმა მჭექარე „თოხნური“ და ისევ აჭიკჭიკდნენ ჩაის ფართობში ქალიშვილები.

დაკარგულის აღსადგენად მეტი ჩაი იყო საჭირო, მეტი სიმინდი. და დღითიდღე ძლიერდებოდა მუშაობის ტემპი. მთელი დღე ნაჯაფი რაისა, ისევ გვიან ბრუნდებოდა სახლში და ისევ გათენებამდე დადიოდა ფართობიდან ფართობში, სოფლიდან სოფელში, მხარდამხარ მიჰყვებოდა ნაფიჩხოუს, მუხურის, ზუმის, ხაბუმეს და ორჯონიკიძის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს. დაიგეგმა: აქ კვადრატულ-ბუდობრივად დაითესოს სიმინდი, იქ მწკრივში, აქ კი მობნევით. თვითონ ჩაუდგა სათავეში კოლმეურნე ქალებს, აჩვენა მაგალითი, თუ როგორ უნდა იქნას გასხლული ჩაის ბუჩქი, როგორ მოუარონ. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, თუ მანამდე ქალები 20-30 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფდნენ დღიურად, ახლა 50-60 კილოგრამსაც მიაღწიეს და უფრო მეტისთვის დაიწყეს ბრძოლა.

დადგა სიმინდის კალოები, რაისა შენგელიასაც დაუფასდა ამაგი. 1949 წელს იგი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს, 1960 წელს დამსახურებული აგრონომის წოდება მიანიჭეს. იგი რაიკომის წევრობის კანდიდატია და რაისაბჭოს აღმასკომის წევრი. მადლობის გრძნობას ვერ იტევს რაისას გული და ეძებს, იბრძვის ახალ-ახალი რეზერვების გამოსავლინებლად.

ისევ ტყდება ღამეები, ისევ არ არის მოსვენება. ყოველ ცისმარე დილას ხაბუმეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე სიხარულით ეგებება ქალს და ღიმილით ეტყვის:

— ნეტავ, როდის ასწრებ ძილს?

განა მარტო ხაბუმეშია რაისა? შვიდი კოლმეურნეობის შემოვლას ასწრებს და ყველა თავმჯდომარე სიხარულით ხვდება, შვიდი კოლმეურნეობის მუშაობის შედეგებს აჯამებს ყოველდღიურად.

ყველაზე ძალიან ქალებს უხარიათ რაისას გამოჩენა, რადგან რაისა თითქმის ყველას მეგობარია და გულის მესაიდუმლე. ჩაის ფართობში შენიშნავენ თუ არა ქალებე, ჟივილ-ხივილით ეგებებიან. რაისაც, რაც არ უნდა საჩქარო საქმე ჰქონდეს, ცოტახანს მაინც შეჩერდება მათთან, უამბობს ახალ ამბებს, მერე გამოკითხავს, ვის რა უჭირს, ვის რა აკლია და სხვა კოლმეურნეობისკენ გასწევს.

რაისა ყოველდღე შეივლის ხაბუმეს კოლმეურნეობის მეორე ბრიგადაში. იქ დახვდება თვალებმაყვალა 20 წლის ნუნუ ბერია. ათი დის დაუღალავი მარჯვენა ტრიალებს ამ ბრიგადაში. აქ დახვდებიან მზემოკიდებული ცქრიალა ქალიშვილები: ზოია სიჭინავა, ლუცია გორდელაძე, გოგომა ყალიჩავა, ნუნუ და ვარდიკო ახალაიები, რომლებიც დღიურად 80-90 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფენ. ჩაის კრეფის წლიური გეგმა დიდი ხანია შეასრულეს და ახლა ვალდებულების გადაჭარბებით შესრულებისათვის იბრძვიან. და განა რაისას სხვა ბრიგადაში, სხვა კოლმეურნეობაში არ მიუხარია? და განა იქ არ დახვდებიან თვალციმციმა ქალიშვილები და იქ არ დახვდება ჩაის ფოთლის გორები?

...და უხარია რაისას, რომ შრომამ ფუჭად არ ჩაუარა. უხარია, რომ ყველა კოლმეურნეობამ ერთი ძალით შეუტია საქმეს. თებერვლიდან დაიწყეს მიწის დამუშავება, თავის დროზე შეიტანეს სასუქი, დროზე ჩაუტარეს თოხი და მიწის გულმაც არ უმტყუნა და ერთი ათად მიუზღო.

მომავალ წელს უფრო მეტისთვის იბრძოლებს იგი. მთელი დღის ნაჯაფი რაისა ისევ გვიან ღამე შევა სახლში, ისევ გათენებისას გასცდება სოფელს, ივლის სოფლიდან სოფელში, ფართობიდან ფართობში, და ისევ სიყვარულით შეხვდებიან თანასოფლელები მოჭირნახულე ქალიშვილს.

ოლია რევია



პატარა რეზო ყველაზე ადრე [illegible] დედამის მოსვლას. „დედიკო მოვიდა, დედიკო მოვიდა“ — ტაშს შემოკრავს და მეცადინეობაში გართულ და-ძმას აფხიზლებს. ბავშვები სიხარულის ყიჟინით ეხვევიან დედას, ალერსითა და შეკითხვებითავსებენ, თავისას უამბობენ და ერთმანეთს არ აცლიან;

— იცი, ეს პიონერთა ორგანიზაციამ დამავალა ნორჩი მხატვრის კუთხისათვის...

— მე დღეს მუსიკის მასწავლებელმა შემაქო...

— აბა, ამას შეხედე! — მათემატიკის საშინაო დავალების რვეულს აწვდის მესამე და ფურცელზე თითი იქ უდევს, სადაც ხუთიანია გამოყვანილი.

სახეგაბრწყინებული დედა გულისყურით უსმენს სამივეს, დაღლილობა ავიწყდება და საოჯახო ფუსფუსს იწყებს. საოჯახო საქმეს კი რა დალევს! ჯერ მარტო პატარების წესრიგში მოყვანა, მათთან საუბარი... საღამოს კი მშობელთა კრებაზეა წასასვლელი, სიტყვით უნდა გამოვიდეს, „მშობელთა მოვალეობა და დახმარება სკოლის კოლექტივისადმი“, — ასეთია დღევანდელი საუბრის თემა. სათქმელი მარიამს ბევრი აქვს და ახლა გონებაში ალაგებს.

დედა იჩქარის, კრების დაწყებამდე უნდა მივიდეს და ერთხელ კიდევ შეათვალიეროს თავისი ხელით მოწყობილი ერთ-ერთი ჯგუფის საორგანიზაციო კუთხე.

ქუჩაში გამოსულს, თვალს სტაცებს თრიალეთის ქედის მიღმა ჩამავალი მზის სხივებით აელვარებული თბილისი. მწვანით დაფარული მთაწმინდის კალთები თითქოს ანიშნებენ: თქვენისთანა სპეციალისტებმა ჩააცვეს მწვანე ქათიბი შიშველ კლდეებსო. ამას უდასტურებს საამოდ მობუტბუტე მტკვარიც და თავის სანაპიროებზე გალაღებულ ხეებს შეჰხარის.

მშობელთა კრებაზე მარიამ მაცაბერიძე უბრალო ვალის მოსახდელად არასოდეს არ მიდის. იგი მთელი გატაცებით ებმება იმ საჭირო საკითხების განხილვაში, რომლებსაც მშობლები პედაგოგებთან ერთად ამუშავებენ მოსწავლეთა საკეთილდღეოდ, და ეს ბუნებრივიცაა. მას ხომ მრავალი წლის მანძილზე ახალგაზრდა სპეციალისტებზე ზრუნვა ჰქონდა მინდობილი, როცა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსად მუშაობდა. მასთან გამოცხადებული ახლადკურსდამთავრებულები მუდამ სითბოს და მშობლიურ მზრუნველობას გრძნობდნენ.

ამჟამად მარიამ მაცაბერიძე ახლახან ჩამოყალიბებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სამეურნეო-ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსია. კადრების საქმეს აღარ განაგებს, მაგრამ

მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის



# ნონა გაფრინდაშვილი



ნონა მსოფლიოს ჩემპიონის თასით

## მიხეილ ბოტვინიკი

**საერთაშორისო გროსმაისტერი, მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი**

ჩემთვის არ არის მოულოდნელი ნონა გაფრინდაშვილის გამარჯვება, ის უკვე კარგახანია ჩინებულად თამაშობს ჭადრაკს, მისი მსოფლიო ჩემპიონობა სავსებით დამსახურებულია.

ნონა გაფრინდაშვილი ჭეშმარიტად შემოქმედი ოსტატია. ამიტომ მის თამაშს ყოველი შეჯიბრების დროს ზრდის უტყუარი ნიშანი ახის. აქამდე ის გატაცებული იყო კომბინაციური ბრძოლის რომანტიკით, ელისაბედ ბიკოვასთან მატჩში სტრატეგიული აზროვნების მომხიბლავი ხელოვნებაც გვიჩვენა. „პატარა" მსოფლიო ჩემპიონი ქალთა ჭადრაკის ღირსეული წინამძღოლია. ის მოწოდებულია უჩვენოს მაგალითი თავის კოლეგებს, თუ რა გზით წარმართონ მათ მუშაობა თამაშის კლასის ასამაღლებლად. აქ, ჩემის აზრით, ერთი გზაა—ხშირად შეხვდნენ შეჯიბრებებში ოსტატ ვაჟებს. ნონა გაფრინდაშვილი უკვე დაადგა ამ ეკლიან ბილიკს და მაიმედებელი წარმატებებიც მოიპოვა.

ვუსურვებ ჩემს კოლეგას ფხიზლად იდგეს ჩემპიონობის სადარაჯოზე და მუდამ ზრუნავდეს თავისი ხელოვნების სრულყოფისათვის.

## ნინო გრუშკოვა-ბელსკა

**ე. ბიკოვა—ნ. გაფრინდაშვილის მატჩის მთავარი არბიტრი, საერთაშორისო ოსტატი (ჩეხოსლოვაკია)**

ნონა გაფრინდაშვილის გამარჯვებით ქალთა ჭადრაკის ისტორიაში ახალი თავი დაიწყო. მწამს, რომ ქალიშვილი მრავალ წელს „იმეფებს" საჭადრაკო სამყაროში, ამას მალაპარაკებს მისი ოსტატობის მრავალფეროვნება, იდეების სისადავე და შთამბეჭდაობა.

მატჩის დროს მე ახლო გავეცანი ახალ მსოფლიო ჩემპიონს. მოხიბლული დავრჩი მისი კეთილი ხასიათით, თავაზიანობით. მის თვალებში მუდამ ამოიკითხავდი ღრმა პატივისცემას თავისი პარტნიორისადმი, რომელმაც წლების მანძილზე ღირსეულად ზიდა მსოფლიო ჩემპიონის მძიმე უღელი.

21 წლის ნონამ მოიპოვა უმაღლესი სპორტული წოდება, მაგრამ ამით როდი დაკმაყოფილდება იგი. შემოქმედებითი თვალსაზრისით ნონას წინ დიდი პერსპექტივებია: მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაცვასთან ერთად მან უნდა გაგვითქვას ქალებს სახელი, როგორც ამას აკეთებდა ჩემი თანამემამულე მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ქალთა შორის ვერა მენჩიკი. ნონა გაფრინდაშვილი დღეს ნამდვილად ჩვენი ღირსეული ლიდერია.



ნინო გრუშკოვა-ბელსკა

## ოლღა რუბცოვა

**მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის, სპორტის დამსახურებული ოსტატი**

ის, რაც გააკეთა ნონა გაფრინდაშვილმა, სასწაულია. მან, როცა საჭადრაკო ხელოვნება განვითარების უმაღლეს საფეხურზე იმყოფება, 21 წლის ასაკში დაისაკუთრა მსოფლიო ჩემპიონის სახელი. ჭადრაკის სიბრძნის ათვისება საერთოდ დიდ დროს მოითხოვს. მაგრამ ქართველი სტუდენტის ტალანტმა, მისმა ბეჯითმა შრომამ ადვილად დაძლია ბევრისათვის დღესაც გამოუცნობი გამარჯვების საიდუმლოებანი. ნონა გაფრინდაშვილის თამაში ქალთა ჭადრაკის ხვალინდელი დღეა. მისი შემოქმედებითი მრწამსი ბევრს გვპირდება.



ნონა ჩოგბურთის კორტზე

## ნინო ბლუკიტი

**საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი**

ნონა გაფრინდაშვილი ნამდვილი ყვავილია, რომლის მოსვლას ათეული წელია ელოდებოდა საჭადრაკო სამყარო. ეს ყვავილი ჯერ არ გაშლილა, ჯერ მთლიანად არ გამოუჩენია თავისი მშვენიერება, მაგრამ უკვე აგრძნობინა ყველას თავისი ტალანტის დამათრობელი სურნელება.

ვერა მენჩიკის შემდეგ ჭადრაკს არ ჰყოლია მსგავსი ახალგაზრდა ჩემპიონი. სწორედ მისი ახალგაზრდობა არის დიდი მომავლის საწინდარი. ქალთა ჭადრაკის ბედი იღბალი საიმედო ხელშია.

ჩემი თხოვნაა ქართველი საზოგადოებისადმი, რომ კარგად მოუარონ პატარა ყვავილს, რომლის გაფურჩქვნა ყველას უზომო სიხარულსა და ნეტარებას გვპირდება.

## ტიგრან პეტროსიანი

**მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი, საერთაშორისო გროსმაისტერი**

მე, როგორც თბილისელს, დიდად მახარებს ნონა გაფრინდაშვილის უდიდესი წარმატება. მან გაიმარჯვა ისე, რომ თავის მეტოქეს „სიტყვა არათქმევინა." თანამედროვე ჭადრაკის ეპოქაში ეს უჩვეულო ამბავია. მაგრამ 21 წლის ნონა გაფრინდაშვილის ჩემპიონობაც ხომ რიგითი მოვლენა არ არის! ვიტყოდი, რომ ნონას ასვლა საჭადრაკო ოლიმპზე, ქართველი ქალის აღიარებული ნიჭიერების ფაქტიური დადასტურებაა.

ნონას მაგალითი მახალისებს. მომავალი წლის გაზაფხულზე მეც უნდა ვცადო მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის ხელყოფა. რასაკვირველია, ბედნიერი ვიქნები თუ შევძლო ნონას წარმატების გამეორება. თუმცა ეს ძალიან ძნელია.

ნონას გამარჯვება საქართველოში საჭადრაკო მოძრაობის წარმატებაა.



ელისაბედ ბიკოვა და ნონა გაფრინდაშვილი

ელისაბედ ბიკოვა (მარცხნივ) და ნონა გაფრინდაშვილი მატჩის დროს



## დავით ბრონშტეინი

**საერთაშორისო გროსმაისტერი**

1959 წელს პირველად შევხვდი ნონა გაფრინდაშვილს საჭადრაკო ლაფასთან. ვითამაშეთ რამდენიმე მსუბუქი პარტია. თამაშის დროს ვგრძნობდი, რომ 18 წლის ნონა რთული პრობლემების წინაშე მაყენებდა.

— „არა, ეს არ არის ჩვეულებრივი მოჭადრაკე, მას კარგი მომავალი უღიმის",— გავიფიქრე მაშინ. ჩემი შეხედულება გავუზიარე მ. ბოტვინიკს, რომელიც გაგონილს დიდი კმაყოფილებით შეეგება.

გავიდა წლები. ამ ხნის მანძილზე ინტერესით ვადევნებდი თვალს ნონას ზრდას. მიხაროდა, რომ მისი ნიჭიერების შეფასებაში არ შევცდი. როცა წელს ქართული ჭადრაკის მესვეურებმა შემომთავაზეს ვყოფილიყავი ნონას კონსულტანტი ელისაბედ ბიკოვასთან მატჩის მომზადების პროცესში, რა თქმა უნდა, სიამოვნებით მივიღე წინადადება.

ნონასთან მუშაობა ნამდვილად საინტერესო იყო. ის ნახევარი სიტყვით ხვდებოდა რის თქმასაც ვაპირებდი. მაოცებდა მისი შესანიშნავი მეხსიერება, თამაშის ალღო, პოზიციის ნიუანსებში ჩაწვდომა, მასთან ახლო შემოქმედებითმა კონტაქტმა დამარწმუნა იმაში, რომ ის აუცილებლად მოუგებდა მატჩს ელისაბედ ბიკოვას.

ახლა ნონა გაფრინდაშვილის, როგორც მსოფლიო ჩემპიონის, წინაშე დიდი საპასუხისმგებლო ამოცანები დგას—ის უნდა გავიდეს ფართო საჭადრაკო სარბიელზე. ეჭვი არ მეპარება, რომ ის აქაც არ შეირცხვენს თავს.

## მიხეილ ტალი

**მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ჭადრაკში, საერთაშორისო გროსმაისტერი, ჟურნალ „შახსის" რედაქტორი**

გაცნობისთანავე ნონაში დიდი ტალანტი შევიგრძენი. მჯეროდა, რომ ადრე თუ გვიან ის გახდებოდა დაფის გვირგვინოსანი.

მსოფლიო ჩემპიონობა მძიმე ტვირთია. ის მოჭადრაკისაგან მოითხოვს მთელ სიცოცხლეს. პირველი სიტყვის თქმა ადვილი როდია, მით უმეტეს ჭადრაკში, სადაც ბევრია გასაკეთებელი მისი პრესტიჟის ასამაღლებლად. მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ნონა გაფრინდაშვილი არ შეუშინდება ამ სიძნელეებს. ამის საწინდარია მისი თამაში, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია.

დაუფარავად უნდა ვთქვა, ნონა ვაჟივით, შემართებით თამაშობს. მისი იდეები ცხოველმყოფელია, აზრით სავსე. ამიტომ ჩემი შეხედულებით დადგა დრო ნონამ ითამაშოს ოსტატ ვაჟთა ტურნირებში. იქ მოპოვებული წარმატებებით (მრწამს, რომ ასეთები იქნება) ის გაამხნევებს მოჭადრაკე ქალთა „სამეფოს", ხოლო ვაჟებს მეტი პატივისცემით ალაპარაკებს ქალთა ჭადრაკზე.

ნონას სიყვარული სპორტისადმი იმის საწინდარია, რომ ის არ გაიმეორებს ჩემს შეცდომებს და ღირსეულად შეხვდება ჩემპიონობის ყოველ ახალ პრეტენდენტს.

სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე და საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ბ. როდიონოვი და მატჩის მთავარი არბიტრი ნინო გრუშკოვა-ბელსკა ნონას ამკობენ დაფნის გვირგვინით



# მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონები ქალთა შორის_ჭადრაკში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელისაბედ ბიკოვა (საბჭოთა კავშირი)
მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი



ოლგა რუბცოვა (საბჭოთა კავშირი)



ლუდმილა რუდენკო (საბჭოთა კავშირი)



ვერა მენჩიკი (ჩეხოსლოვაკია)
მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მის მიერ შრომაში ჩაბმული სპეციალისტები ისევ ხშირად მიმართავენ მას რჩევისათვის სხვადასხვა საკითხებზე...

დიდია სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორის მარიამის ავტორიტეტი. მისი თავდადებული შრომა მთავრობამ ჯეროვნად დააფასა. იგი დაჯილდოებულია რამდენიმე მედლითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

...მარიამი ხაშურში, რკინიგზელის ოჯახში დაიბადა. მამა არ ახსოვს—ადრე გარდაეცვალა. სამი მცირეწლოვანი შვილის პატრონობა ძალზე უჭირდა მარტოხელა დედას. შორაპანში ქმრის მეგობარ რკინიგზელთა ხელშეწყობით შოულობდა სამუშაოს, ყოველდღიური ჯაფით არჩენდა ორ ბიჭსა და ერთ გოგონას. ვინ იცის, რამდენ საფრთხეს გადაურჩნენ მთელი დღით უპატრონოდ მიტოვებული პატარები.

როცა საქართველოს ცაზე თავისუფლების მზე ამობრწყინდა, მაცაბერიძეების ოჯახშიც შევიდა ნათელი. წამოჩიტული ობლები წელში გაიმართნენ, მომავლის გზა მათთვისაც გაიხსნა.

ბავშვებმა შვიდწლიანი სასწავლებელი შორაპანში დაამთავრეს, პატარა მარომ იქ გაიკეთა პირველად პიონერული ყელსახვევი.

— პიონერი ვიყავი, — იგონებს მარიამი, — 1926 წელი იყო. ახლაც მახსოვს: შორაპნის რკინიგზის მუშების პარტიული ორგანიზაცია დედაჩემს პარტიის რიგებში ღებულობდა. გაჩირაღდნებულ დარბაზში წითელი დროშის ქვეშ იდგა იგი — მუშა ქალი, პატიოსანი და გულმართალი სიტყვებით ფიცს დებდა პარტიის წინაშე. ის დღე არასოდეს დამავიწყდება...

...მალე მარო კომკავშირის რიგებში შევიდა, ხოლო სწავლა ზესტაფონის საშუალო სასწავლებელში განაგრძო. სკოლა რომ დაამთავრა, სადგურ შორაპნის კანტორაში საქმის მწარმოებლად დანიშნეს. მუყაითი ქალიშვილი ჯერ მოანგარიშედ, ხოლო მალე უფროს ბუღალტრად დააწინაურეს.

სამსახურიდან რომ დაბრუნდებოდა, საკუთარი ხელით დამუშავებულ ბაღჩაბოსტანში ფუსფუსებდა. მიწის სიყვარული დაეხმარა პროფესიის არჩევაშიც. წარჩინებით ჩააბარა გამოცდები მცენარეთა დაცვის საკავშირო ინსტიტუტში. ცოდნას დაწაფებული ქალიშვილი ფაკულტეტის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად და ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის წევრად აირჩიეს.

1938 წელს მარიამი პარტიის რიგებში მიიღეს.

— ვიდექი ინსტიტუტის პარტიული კრების წინაშე ახალგაზრდა სპეციალისტი. მეხსიერებაში ცოცხლდებოდა წარსულის სურათი, დედაჩემის პარტიაში მიღების დღე. თითქოს მესმოდა შორაპნელი მუშების დაკოჟრებული ხელების ტაშისცემა. გულის სიღრმეში ფიცს ვდებდი, მთელი სიცოცხლე მებრძოლა მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ...

და დღეს იგი, მყუდრო ოჯახის დიასახლისი, შესანიშნავი დედა და მეუღლე, პირნათლად ასრულებს პარტიის წინაშე დადებულ ამ ფიცს.

თამარ გომართელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გული სავსეა ნარგისით

როგორც ყველა მოზარდს, მასაც ჰქონდა ოცნება. გატაცებით უყვარდა თავისი რუსული ენის მასწავლებელი მუცუცა ჯაყელი. ამ სიყვარულმა მიიყვანა თორმეტი წლის გოგონა ოზურგეთის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ქუთაისში.

ქუთაისის ეპარხიალურ სასწავლებელთან ჩერდებოდა ეტლები და გამოცდაზე გასასვლელად მოდიოდნენ გოგონები გავლენიანი მშობლებისა და ნათესავების თანხლებით. ის კი მარტო მოვიდა და ელოდა თავის რიგს. ახლაც ზეპირად ახსოვს ნაწყვეტი მ. ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირიდან", გამოცდაზე რომ დააწერინეს. ის პირველი ხუთიანი კი, მის საგამოცდო ფურცელში რომ ჩაიწერა, დღესაც რუსული ენის მასწავლებლის მ. ჯაყელის დამსახურებად მიაჩნია.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მისთვის არ არსებობდა ორი გზა. სკოლა და ბავშვები, აი საითკენ მიუწევდა გული. გურიას მიაშურა, ნაცნობი გზებით დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს.

მიჰქრის ეტლი გურიის მაღალმთიან სოფლისაკენ, სამებისაკენ. გზა მაღლამაღლა მიიკლაკნება. ჩაშოიტოვა მამისეული სახლი... და გაახსენდა: თითქოს გუშინ იყო. გრძელ მაგიდაზე „ჩუდო" ლამფა ჩახჩახებს. წიგნებითა და რვეულებით შემოსხდომიან გარს მისი და-ძმები: — მოსე, ელენე, ნინო, ოლია, ნიშა, სონია, თამარი, ქსენია, ცუცა, დარეჯანი. მეცადინეობენ ჩუმად, უხმაუროდ, თავთავისთვის. ყოველთვის რაღაც გასაოცარი წესრიგი, უმცროს-უფროსობა და ერთიმეორის პატივისცემა სუფევდა ამ მრავალრიცხოვან ოჯახში. ახლაც ახსოვს კედელზე გაკრული სამორიგეო სია. მორიგე ალაგებდა სახლს, სამზარეულოს, უვლიდა შინაურ ფრინველებს... ერთ-ერთი და ოლია ფიზიკურად სუსტი იყო. მას უფრთხილდებოდნენ, ეშველებოდნენ ოჯახის მოვლაში. ერთხელ დედა მძიმე ავად გახდა. ყველანი ფეხაკრეფით დადიოდნენ. თითქოს ბავშვები კი არა, ჩიტები იყვნენ.

სოფელ სამებაში მალე შეიყვარეს ახალგაზრდა მასწავლებელი. აქვე გახდა იგი ბურჭულაძეების რძალი. წლების განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მარიამ ბურჭულაძე პედაგოგთა გარემოცვაში. იცვლიდა სკოლებს, სამუშაო ადგილებს — სამება, დუშეთი, თბილისი...

ახსოვს თეთრად გათენებული ღამეები. თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი შუაღამემდე ასწორებდა რვეულებს, თან სამ შვილს, სამ ვაჟკაცს ზრდიდა. ცალი ხელით აკვანს არწევდა, მეორეში წიგნი ეჭირა.

არასოდეს დაავიწყდება ერთი დღე, ერთი დიდი სიხარულის დღე. ზემდგომ ორგანოში გამოუძახეს, განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ ნიშნავდნენ.

— მე ერთი უბრალო მასწავლებელი ვარ, — განაცხადა მოკრძალებით.

— სკოლას ხომ კარგად იცნობ, — ჰკითხეს.

— დიახ, ვიცნობ.

— აბა, არა უშავს რა, — ერთი სკოლის მაგიერად, ბევრ სკოლაში მოგიხდება მუშაობა.

ეს იყო 1938 წელს.

როგორ სწრაფად გავიდნენ წლები! განვლო ახალგაზრდობამ, როგორც ზფოთიანმა მდინარემ. ახალი საქმიანობა სკოლებთან უფრო აახლოვებდა. სადაც ყველაზე მეტად სჭირდებოდათ დახმარება, ისიც იქითკენ მიეშურებოდა. კვირეობით რჩებოდა საქართველოს განაპირა რაიონებში — ადიგენში, დმანისში, ახალქალაქში, ახალციხეში, ასპინძაში...

სამამულო ომის მრისხანე დღეებში მოდიოდა და მოდიოდა ევაკუირებული ბავშვებით დატვირთული ეშელონები. თოვლი, ყინვა, შემზარავი სიცივე. უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების მიღება. მათი დაბინავება. ნორმალური პირობების შექმნა. ეს ყოველივე მაშინ, ომის პირობებში, ისე ძნელი იყო! ეშელონები კი განუწყვეტლივ მოდიოდნენ. ლანდებივით მოსჩანდნენ მატარებლის ფანჯრის მინებიდან პატარების გამხდარი, შიმშდაკრული სახეები, მათ ნამდვილად ესაჭიროებოდათ დედობრივი სითბო. და მარიამ ბურჭულაძე სადგურზევე ეგებებოდა ბავშვებს, თავს დასტრიალებდა, უალერსებდა.

„მინდა გადაგიხადოთ მადლობა იმ მზრუნველობისა და ყურადღებისათვის, რომელსაც თქვენ იჩენდით ბავშვებისადმი. დიახ, თქვენთან, მზიურ საქართველოში, რომლის შესახებ ჩვენ ადრე მხოლოდ გაგვეგონა და წაგვეკითხა, გარემოცულნი ვიყავით თქვენი დიდი ყურადღებით და მზრუნველობით, თქვენი ალერსით და სიყვარულით, რომელიც მზესავით გვათბობდა და გვავიწყებდა ომისაგან განცდილ საშინელ დღეებს", — სწერდა მას თბილისის საბავშვო სახლში აღზრდილი ალიეტა გრიმინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი წერილები მარიამ ბურჭულაძის საწერი მაგიდის უჯრაში ბლომად აწყვია. არის სხვა სახის ბარათებიც, სწერენ მასწავლებლები, მოსწავლეები, სტუდენტები, მშობლები.

„კეთილი გული მზეა, რადგან იგი არ იცვლება", ასე იწყებს თავის წერილს სტუდენტი ქალიშვილი ნელი რაზმაძე.

„მე ვგრძნობ თქვენს კეთილ გულს, მთელ ჩემს სიცოცხლეში მადლობელი ვიქნები თქვენი", სწერს ერთ-ერთი მშობელი.

ამ ბარათებს შორის ზოგი ძალიან შორიდან არის მოსული, გადმოულახავთ ოკეანეები და მწვერვალები. აქ არის ესპანელი ხალხის გმირი შვილის დოლორეს იბარურის გულთბილი ბარათები და მილოცვები. არის წერილები ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან, ტაილანდიდან, ურუგვაიდან, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან.

მის საწერ მაგიდაზე ორი წითელყდიანი წიგნი დევს. „ძვირფას მეგობარს, საუკეთესო ამხანაგს, მარიამ იოველის ასულს, კეთილმოსაგონებლად, გულწრფელი სიყვარულით — ანა პანკრატოვა", — ვკითხულობთ წიგნის თავფურცელზე. ეს არის შრომები რუსეთის პირველი რევოლუციის შესახებ. 1956 წელს მის ავტორთან, ცნობილ ისტორიკოს ქალთან ანა პანკრატოვასთან ერთად მარიამ ბურჭულაძე დელეგატად იყო წარგზავნილი ტაილანდში საპარლამენტთაშორისო კავშირის ორმოცდამეხუთე კონფერენციაზე. მათი მეგობრობაც აქედან დაიწყო.

ნოემბრის თვეა. ტაილანდში აუტანელი სიცხეა. ბამბუკის საცოდავ კარვებსა და ნავებს იქით ისინი ხედავენ ბრწყინვალე სასახლეებს აგურის ქონგურებიანი გალავნით. ქუჩებში ხვდებიან ფეხშიშველ, ტანსაცმელშემოფლეთილ ბიჭებსა და გოგონებს. ეს საცოდავი მაწანწალა ბავშვები ხელგაწვდილი მათხოვრობენ, ემსახურებიან მდიდრებს.

სადაც არ უნდა იყოს მარიამ ბურჭულაძე, იგი ძალიან ადვილად უახლოვდება ბავშვებს. და აი, ტაილანდიდან წამოსვლისას მას აცილებენ ნაცნობი ბავშვების ცრემლიანი თვალები. იგი ადვილად დაუმეგობრდა ტაილანდელ ქალებსაც. მათი მეგობრობის ნიშნად ახლაც ატარებს მკერდზე ლამაზ გულსაკიდს, რომელიც წამოსვლის წინ უსახსოვრეს.

მარიამ ბურჭულაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის არე ფართოა. 1954 წელს იგი იუნესკოს გენერალური კონფერენციის დელეგატია. მაშინ პირველად გადაჰკვეთა ეკვატორი, გადაუფრინა წყნარ ოკეანეს. ქალაქ მონტევიდეოში, საერთაშორისო ტრიბუნაზე მგზნებარე სიტყვით გამოვიდა ქართველი ქალი. იგი ლაპარაკობდა სწავლებისა და აღზრდის საკითხებზე ჩვენს ქვეყანაში. მას უსმენდნენ მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოსული დელეგატები. მეორე დღეს მისი სიტყვა დაიბეჭდა ადგილობრივ გაზეთებში. იქ იგი მრავალ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწე ქალს შეხვდა და დაუმეგობრდა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატი, უცხოელების ყურადღებას იპყრობს თავისი დიდი ჰუმანური ბუნებით, თავისი ქვეყნის, ხალხის უანგარო სიყვარულით და სამსახურით.

მარიამი ასეთივე გულთბილი და მზრუნველია შინაურებშიც. ყოველთვის შოულობს დროს მათთვის. წინსაფარაფარებული საათობით ტრიალებს სამზარეულოში. ხშირად მას გვერდში უდგას და ეხმარება საყვარელი შვილიშვილი ნატული. ეს ის ნატულია, რომელიც ძალიან ჰგავს თავის ბებიას. სწავლობს კარგად. წერს ლექსებს. ამას წინათ პიონერების დიდ ზეიმზე ყოფილ პიონერ მწერლებს საკუთარი ლექსიც კი მიუძღვნა.

— თურმე ბებიაც წერდა ლექსებს, როცა ჩემოდენა იყო, — იღიმება ნატული.

აი მოვიდნენ სხვა შვილიშვილებიც: ვოვა, პაატა, დათო, თემური, თენგიზი. ეტყობათ; ძალიან უყვართ ბავშვებს ბებია.

—ჩვენმა ბებომ სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, — თავს იწონებენ ბიჭები.

ბავშვებს უყვართ ბებიას ოთახში შესვლა, სადაც მზის სხივების აციაგებასთან ერთად გალობას იწყებენ იადონები. ვინ იცის რაზედ გალობენ ეს ხმასალამურა ჩიტუნები? იქნებ იმაზე, რომ თეთრი თმა არ ნიშნავს გულის გაჭაღარავებას, რომ გული ისევ სავსეა ხალისით და თავისი საქმის უსაზღვრო სიყვარულით.

საქართველოს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გვიანობამდე უზის მარიამი საწერ მაგიდას, აჯამებს, აწზოგადებს თავის დიდ გამოცდილებას, სწერს პედაგოგიურ სტატიებს სწავლა-აღზრდის საკითხებზე. მისი ფიქრი, მისი ზრუნვის საგანი კვლავ სკოლაა, კვლავ მოსწავლე ახალგაზრდობაა.

მარგო თომაძე

# იგი იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლე-ბისათვის

ის ოთხმოც წელსაა გადაცილებული და რომ ეს ოთხმოცი წელი არა, ალბათ ბევრი ნოვატორული წამოწყების ორგანიზატორი იქნებოდა. გაცნობისთანავე მასში უმალვე შეიცნობთ რევოლუციონერის მტკიცე, შეუპოვარ ხასიათს. მისთვის ყველაფერი ნათელია და ორჭოფობას ვერ იტანს ვერაფერში. ლაპარაკობს პირდაპირ, მკვახედაც კი, როცა მოსაუბრის არ სჯერა. ჩია, სულ მთლად თმათეთრა... ასეთია მარიამ ქურიძე-დოლიძე ახლა.

განვლილი ცხოვრების შესახებ ლაპარაკობს მოკლედ და ძუნწად, თუმცა მის ბიოგრაფიაში არაფერია ისეთი, რაც ჩვენთვის დიდი ხნიდან ნაცნობი არ იყოს. მისი ცხოვრება ხომ ასე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბობოქარ ისტორიასთან.

და მარიამი ხშირად იგონებს გურიის განთიადს. მაშინ გაიკრიფებოდნენ ქურიძეების ეზოდან საიდუმლო კრების მონაწილენი. მარიამიც ძლივს ახელდა ღამენათევ თვალებს. ათასჯერ უთქვამთ: შენი საქმე არ არის ამ კრებაზე დასწრება, ასეთი რამეების მოსმენა ჯერო. მაგრამ მარიამს ასე ადვილად ვერაფერს გადაათქმევინებდნენ; სოფელ-სოფელ სირბილს და პროკლამაციების გავრცელებას თუ მენდობით და ვახერხებ, მეც მოვისმენ რას იტყვის ქალაქიდან ჩამოსული კაციო

რადგან მარიამი თავისას არ იშლიდა, ძმა ნოეც (ზომლეთის მარქსისტული წრის ხელმძღვანელი, შემდეგში მწერალი ნოე ზომლეთელი) აღარ უშლიდა თავის დას კრებაზე დასწრებას.

მაგრამ მარიამს მაინც არასოდეს უფიქრია, რომ მომავალში რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე გახდებოდა. გლეხის გოგონას ეს საქმე მამაკაცების ხვედრი ეგონა მხოლოდ. მაგრამ, როცა ზომლეთის მარქსისტულ წრეში ახალგაზრდა რევოლუციონერი ანდრო დოლიძე გაიცნო და მისი მეუღლე გახდა, მიხვდა, რომ ამიერიდან ის ეკუთვნოდა ხალხს და ეზიარა მისი ნათელი მომავლისათვის ბრძოლის საქმეს. აი, რას ამბობს თვითონ მარიამ დოლიძე: „ჩემს ქმართან ერთ ჭერქვეშ ცხოვრებამ, მისმა დაუღალავმა, თავდადებულმა ბრძოლამ არსებული წყობილების წინააღმდეგ, მისმა რევოლუციურმა მგზნებარებამ და დიდმა პოლიტიკურმა მომზადებამ ძლიერი გავლენა მოახდინა ჩემზე. მასთან ერთად მთელი შეგნებით, ენერგიითა და რწმენით შევუდექი რევოლუციურ წუშაობას".

დოლიძეების ოჯახი გურიის რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილეა.

მუშავდება გურიის მოძრაობის მთელი ამიერკავკასიის შეიარაღებულ აჯანყებად გადაქცევის გეგმა. იარაღის ერთ-ერთი საწყობი დოლიძეების ბინაზეა.

გურიის რევოლუციონერთა გამოსვლები ნასაკირალის ბრძოლაში გადაიზარდა, რასაც ძლიერი რეპრესიები მოჰყვა. ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელმა რაზმმა ფერფლად აქცია გურიის რევოლუციური მოძრაობის ცენტრი ჩოხატაური. საქართველოში გაჩერება შეუძლებელი შეიქნა და მარიამი ქმართან ერთად ბაქოში გადადის.

დოლიძეების ოჯახი ბოლშევიკთა თავშესაფარი, მათი შტაბი და საიდუმლო ადგილი იყო. აქ იატაკქვეშ თვეობით იმალებოდნენ დევნილი ამხანაგები, მარიამი ასობით რევოლუციონერისათვის კერავდა, რეცხავდა, აუთოვებდა, სადილს აკეთებდა. ეს იყო მისი ერთ-ერთი პარტიული დავალება. საღამოობით კი მარიამის ოთახში ჭრაქის შუქზე ბოლშევიკები დიდი მასობრივ-პოლიტიკური გაფიცვის გეგმას ადგენდნენ.

1912 წელი. „ლენაზე თოფის გასროლამ" ამიერკავკასიის ბოლშევიკები ფეხზე დააყენა. ბაქო გაიფიცა. როგორც მოსალოდნელი იყო, გაფიცვას მეფის მთავრობამ რეპრესიებით უპასუხა. სხვებთან ერთად დააპატიმრეს მარიამის მეუღლეც. ბოლშევიკური უჯრედი დროებით იატაკქვეშ გადავიდა. მარიამი კი კვალდაკვალ მისდევდა ეტაპს, რომლითაც სხვა ამხანაგებთან ერთად ანდრო დოლიძეც მიჰყავდათ.

მარიამს ცრემლები ახრჩობდა: რად გამოამჟღავნა სისუსტე, რად ჩავარდა სასოწარკვეთილებაში, ამას ელოდნენ მისგან?! მაგრამ დედა იყო, არ იცოდა რა მოუვიდოდა შვილებს და ამიტომ შეშინდა. ახლა უკვე არაფერი ახსოვდა — სადაც მისი ამხანაგები არიან, იქ არის მისი ადგილიც. შიში მოვალეობის გრძნობამ შესცვალა. უფრო გვიან კი, როდესაც ასტრახანში რევოლუციურ წრეს დაუკავშირდა, იგრძნო, რომ აქ იყო მისი სტიქია, მისი სისხლხორცეული საქმე.

მარიამი ასტრახანში დარჩა. რუსეთში რევოლუციური ქარიშხლის მოახლოება იგრძნო. გადასახლებიდან გამოქცეული ანდრო პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე პარტიის დავალებით ჯარის ნაწილებში სააგიტაციო მუშაობას ეწეოდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუცია რუსეთში უსწრებთ. სპეციალური დავალებით ცოლ-ქმარს საქართველოში გზავნიან. ისინი სოხუმში პარტიულ უჯრედს აყალიბებენ. მოკლე ხანში სოხუმში აჯანყება მოეწყო და ბოლშევიკებმა კიდეც აიღეს ხელში ძალაუფლება. მაგრამ გამარჯვება დიდხანს ვერ შეინარჩუნეს და იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ. რევოლუციონერები ახერხებენ ჩრდილო-კავკასიაში გადასვლას. მარიამი კი გურიაში ბრუნდება, სადაც მისი ყოფნა უფრო საჭირო შეიქნა.

მალე სერგო ორჯონიკიძის სპეციალური დავალებით ანდროც ბრუნდება არალეგალურად. მარიამი აკავშირებს მას ადგილობრივ რევოლუციონერებთან, გადააქვს არალეგალური ლიტერატურა, უკავშირდება დაპატიმრებულ ამხანაგებს... დღე არ არის, რომ მარიამის თუ არა, რომელიმე რევოლუციონერის ბინა არ გაჩხრიკონ. ყოველდღიურად უხდებათ სასიგნალო ნიშნის, შტაბის ადგილმდებარეობის გამოცვლა. ბოლშევიკები შეიარაღებული აჯანყებისათვის ემზადებიან. დოლიძეების ბინის იატაკქვეშ ისევ იარაღის საწყობია. მენშევიკებმა უკანასკნელად გაიბრძოლეს. დოლიძეების ბინა გაჩხრიკეს და მარიამი 13 წლის ვაჟიშვილთან ერთად დააპატიმრეს.

მალე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროშა აფრიალდა.

მას შემდეგ ბევრმა წელმა ჩაიარა. იყო შრომის, გამარჯვების, დიად მიღწევათა წლები. მარიამი ყოველთვის იქ იყო, სადაც პარტია მოუწოდებდა, აკეთებდა მას, რაც ყველაზე საჭირო იყო..

როდესაც იგონებს განვლილს, ყოველთვის ფიქრობს, რომ ათასი სიცოცხლე რომ ჰქონოდა, მაინც იცოცხლებდა ასე, ამ დღეებისათვის, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის.

ცისანა ჟორჟოლიანი

# თამარ ჯაჭვლიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსტა ჯაჭვლიანი ცხუმარელი სვა[illegible] ბაისელი, უაღრესად კეთილსინდისიერი და მწიგნობრობის მოტრფიალე, გონებაგახსნილი კოლმეურნე. ის დღე დღედ არ მიაჩნია, თუ ახალი გაზეთი არ ჩაიგდო ხელში, თავიდან ბოლო სტრიქონამდე არ ჩაიკითხა და ყველა მნიშვნელოვანი დიდი მოვლენის შესახებ საკუთარი შეხედულება არ შეიმუშავა.

შინ მას საკუთარი, ასე ვთქვათ, პერსონალური კარადა აქვს, ძველი და ახალი ქართული წიგნებით სავსე. დედამისის შვილია და ვინმე გაბედავს ამ კარადაში ხელების ფათურს! ოქროთი სავსე სკივრს ნაფიცი კრიჟანგი, ალბათ, ნაკლებად გაუფრთხილდებოდა, ვიდრე ის ამ კარადას უფრთხილდება. ასეთია კოსტა ჯაჭვლიანი არა მარტო ახლა, მოხუცებულობაში გადაბიჯების შემდეგ, არამედ ასეთი იყო თავიდანვე, სიჭაბუკეში და დაქორწინებული ვაჟკაცობის პერიოდში.

ეჰა, რომ იცოდეთ ჩვენო პროზაიკოსებო და პოეტებო, როგორი ბეჯითი, ერთგული, თაყვანისმცემელი მკითხველი და კრიტიკოსი გყავთ შორეული სვანეთის ამ განაპირა სოფელში!

წიგნებისა და ყოველგვარი ბეჭდვითი ნაწარმოების მოტრფიალე ამ კაცს, სიჭაბუკის მიწურულში მოევლინა ალქაჯი ვინმე, რომელმაც არა მარტო კარადაში კოხტად დაწყობილი წიგნები და კარამადინები აურ-დაურია, ზოგი დაუკარგა, ზოგიც სურათებისთვის დაუხია, არამედ ჭირვარამი გაუქარვა, მამობრივი გრძნობები გაუმახვილა და ცხოვრების სიტკბო აგემა. ეს ალქაჯი მისი უმცროსი შვილი, პატარა თამრიკო იყო, საოცრად ჭკვიანი, მოსაზრებული ბავშვი, მაგრამ თამამი და მაჭარივით დაუდეგარი.

თამრიკოს არავისა და არაფრისა ეშინოდა. ერთხელ ბუღამ რქენა დაუპირა. მწყემსების შეკივლება გაისმა მინდორში, როგორც ზარის ხმა. მიაშურეს საშველად, მაგრამ... გოგონა უცბად მოახტა ზურგზე გათავხედებულ მოზვერს, რომელმაც ვერავითარი ხერხით ზურგიდან ვერ მოიშორა აჯეზარი მხედარი. სულ გადაირია ბუღა. იმდენი ირბინა, რომ არაქათი გამოელია და ბოლოს ღელეს მისცა თავი. როცა გახვითქული, ძალაგამოლეული ცხოველი მეორე ნაპირს გავიდა, ტვირთგანთავისუფლებულმა უკან ისეთი გამომეტყველებით მოიხედა, თითქოს მისი თვალები ამბობდნენ: ეს რა ჭირს გადავეკიდეო, დაინახა სახრით ხელში მისკენ გაქანებული ფეხშიშველა გოგონა და... იკადრა გაქცევა.

— ღმერთო, რა დაგიშავე, რომ ეს ალქაჯი მომივლინე, რა მოვუხერხო ამ ბავშვს, ერთი დარაჯი მას სჭირდებაო, — ამბობდა კოსტა, როცა მეზობლების მორიგ საყვედურს გაიგონებდა. თამრიკო ბლის შეთვალებასაც პირველი შენიშნავდა, რიკ-ტაფელას თამაშში მისი ტოლი ბიჭები დაჩაგრული ჰყავდა...

ამასობაში ბავშვი უკვე სასკოლო ასაკისა გახდა. მთელი თავისი უსაზღვრო ენერგია, რომელიც თურმე პატარა სხეულში ვერ თავსდებოდა, ბავშვმა სასკოლო სახელმძღვანელოთა ფურცლების შინაარსს ჩააქსოვა, შესანიშნავად სწავლობდა და დიდი წარმატებით დაამთავრა მესტიის საშუალო სკოლა, ხოლო 1939 წელს — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი.

* * *

შოვში დასასვენებლად ჩამოსულ ჟურნალისტს შეხვდა ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკი და სთხოვა:

—ერთი შესანიშნავი ადამიანი არის აქ, კურორტის ექიმი. სვანის ქალია — თამარ ჯაჭვლიანი. თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას ჩვენი დღეების გმირიაო, უთუოდ მასზედაც შეიძლება... ერთი სიტყვით, გაეცანი მის მუშაობას, საინტერესო ადამიანია...

...საშუალოზე მაღალი, მოხდენილი გარეგნობის, ნაზი, სუსტი არსების შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორ დაიჯეროს კაცმა, რომ ბავშვობისას იგი ასე თავზეხელაღებული იქნებოდა. თაფლის-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თამარ ჯაჭველიანი, მარჯვნიდან პირველი

ძლი თმაში ყვრიმალთან დაკვირვებული თვალი ნაადრევ ჭაღარას შეამჩნევს. ძნელი პროფესია აურჩევია სვან ქალს და რაკი აირჩია, მთელი სულით და გულით, მთელი თავისი არსებით ემსახურება მას, დღე მისთვის არ არსებობს და ღამე, უდარდელი ძილი და ნებივრული მოსვენება.

იქ, გლოლაში, შოვის მახლობელ სოფელში, ვიღაცას ზვინი წაექცა, ქვეშ მოიტანა და გაგუდა. არიქა, ექიმო, უშველე რამე... ხუთი კილომეტრი იქეთ, ხუთი აქეთ, ფეხით, ამ უგზოობაში!

ნუნუ მიქმილაშვილს, საკურორტო კინოთეატრის მოლარეს, მაინცდამაინც ნაშუაღამევს, მოულოდნელი ხიფათი შეემთხვა. კვდება ქალი, სისხლისაგან იცლება. არის ერთი წივილ-კივილი და მოთქმა. ექიმთან აფრინეს კაცი, მაგრამ ექიმი გზაში შეემთხვდა.

— რა ამბავია?

— ფეხი აუსრიალდა, წაიქცა და შემთხვევით ცერზე აღმართულ ცულს დაეცა. დიდი ჭრილობა აქვს ხერხემლის არეში...

სვანი ქალი ქირურგი არ არის, თერაპევტია. აქ ქირურგია საჭირო, მაგრამ სანამ ის ონიდან ამოვიდოდეს, უნდა უშველოს გაჭირვებულს — ჭრილობა მობანოს, უმკურნალოს, ფიზიოლოგიური ხსნარის ინექცია, შეხვევა, დაყვავება, რაიონულ საავადმყოფოში გასაგზავნად დაშავებულის მომზადება, დაუსრულებელი ფუსფუსი, ხოლო ამასობაში განთიადიც მოატანს, ბუბას მწვერვალზე მზის შუქი ჩირაღდანივით აინთება და საკურორტო პოლიკლინიკის აივანზე, სადაც პაციენტების მისაღები კაბინეტია, ექიმის ნახვის მსურველთა რიგი მოეწყობა.

დროით უნდა მივიდეს ექიმი დამსვენებლებთან, ყველა გასინჯოს, ყველას სატკივარს შესაფერისი მალამო გამოუნახოს, ზოგს პროცედურები შეუცვალოს, სხვებს ახალი პროცედურა დაუნიშნოს, თავისი ახალი შრომისთვისაც ზოგი რამ მასალა დააგროვოს...

კურორტი სავსეა დამსვენებლებით და ამ ხალხის ჯანმრთელობის აღდგენას დარაჯობს იგი, სუსტი აგებულების ეს სიმპატიური სვანი ქალი. ერთ კაცსაც ვერ ნახავთ მის უკმაყოფილოს.

ცხუმარელ კოსტა ჯაჭველიანს უფლება აქვს იამაყოს — სასარგებლო შვილი აღუზარდა ქვეყანას, კომუნიზმის მშენებელთა ჯანმრთელობის ფხიზელი, მაგრამ უბრალო, უპრეტენზიო დარაჯი.

ერთი სამახარობლოც კოსტასთვის: ახლო ხანში წიგნად გამოვა ექიმ თამარ ჯაჭველიანის შრომა: „ბრონქიალური ასთმით დაავადებულთა მკურნალობა კურორტ შოვის პირობებში“. აქვს თუ არა შემონახული მამას პერსონალურ კარადაში ადგილი შვილის წიგნისათვის?

დ. ლომთაძე

# ოცდაათი შვილის დედა

თანასოფლელების პატივისცემით სარგებლობს მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის კოლმეურნეობის წევრი პუპი აბაშმაძე. ის 10 შვილის დედაა, ჰყავს 15 შვილიშვილი და 4 ბადიშისშვილი.

კოლმეურნეობის ჩამოყალიბების დღიდანვე პუპი აქტიურად ჩაება საკოლმეურნეო შრომაში და ამჟამადაც მუშაობს.

ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფისა და გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეობის გამგეობის მიერ მრავალჯერ არის დაჯილდოებული ფულადი ჯილდოთი და მადლობებით.

აბაშმაძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მინიჭებული აქვს გმირი დედის წოდება, აგრეთვე მედალი — „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

პუპის, მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, აღებული აქვს ჩაის მოსავლიანი ფართობი, სანიმუშოდ უვლის მას და სახელმწიფოს ყოველწლიურად აბარებს ტონაზე მეტ ხარისხოვან ჩაის მწვანე ფოთოლს.

შ. ქორიძარია

მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

# ორმოცსაუკუნოვანი ვარცხნილობა

ჟილბერ ზიგლერი

საინტერესო თემაზე






ზოგჯერ, როდესაც პარიკმახერის ხელში ჩვენ ვხედავთ ნაირ-ნაირ სალებავებს, პუდრსა თუ ფანქრებს, რომლებსაც ის ჩვენი თმის გასაუფერულებლად ან, პირიქით, გასამუქებლად ხმარობს, როცა ვამჩნევთ სხვა ათასგვარ საშუალებებს და ელტაცებაში მოვყავართ „პერმანენტის" მიღწევებს, — გვგონია, რომ ყველაფერი ეს ახალმა საუკუნემ მოიტანა, ვფიქრობთ, რომ ქალის თავმორთულობას ჯერ არასდროს მიუღწევია ასეთი სრულყოფილებისათვის. სინამდვილეში კი ვარცხნილობის თითქმის ყველა ახლანდელი მოდელი მოდაში ყოფილა... სამი თუ ოთხი ათასწლეულის უკან.

### ოქროს პუდრი და დანაყილი ვირთხის თავები

ძველ ეგვიპტელებს, თურმე, შავგვრემანი ქალები მოსწონდათ. ამიტომ ეგვიპტელი ქალები თმებს შავი ტუშისა და ვარდის წყლის ნარევით იღებავდნენ. ახალგაზრდა ისრაელელ ქალებს კი, პირიქით, ოქროსფერი თმები ხიბლავდათ და ოქროსფერ პუდრს ხმარობდნენ. რომაელი მოდის მიმდევრები ჭკუას ჰკარგავდნენ მწვანე და ლურჯი ფერისათვის. ამიტომ მათი თმის ძირების გასამაგრებელი საშუალება მეტად უცნაური ნარევი გახლდათ. ის შეიცავდა ხარისძირას წვენს, ნაღველას და... დანაყილ ვირთხის თავებს.

თმის ცხელი და ცივი დახვევა მოდაში ყოფილა უძველეს დროშიც. ამ ვარცხნილობების ნახვა ძველ ბერძნულ და რომაულ მონეტებზე შეიძლება. ისინი დიდი სისადავით და მოხდენილობით გამოირჩევიან. ამ მონეტებზე ქალის თავები პროფილში ხატია. თმა კეფაზე მსხვილ კულულებად არის დაწყობილი და გადაჭერილი აქვს ზონარი ან ლენტი. ზოგჯერ კი ყვავილებითაა მორთული.

ცოტა მოგვიანებით, როცა რომის იმპერია ბარბაროსებმა დაარბიეს, დამპყრობელთა ცოლებმა ახალი მოდა შემოიტანეს: ახლა თმას გრძელ ნაწნავებად იწნიდნენ, თავს კი საბურველქვეშ მალავდნენ. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ევროპელი ქალები თმას რითიმე იფარავდნენ: ხან თავსაბურავით, რომელიც ყურებსაც უმალავდათ, ხან ჩაჩით, ხან კიდევ დოლბანდით. დიდგვაროვანი მანდილოსნები ხშირად თმას იკვეცავდნენ კიდეც. ზოგჯერ იმიტომ, რომ აღთქმა ჰქონდათ მიცემული, ზოგჯერ კი ისე, სისუფთავისათვის (ცინაიდან მკბენარები მაშინ სასახლეებში ისეთივე წარმატებით მრავლდებოდა, როგორც ღატაკთა ქოხმახებში); და ეს თმის მოკვეცის ამბავი არავის უნდა სცოდნოდა, ქმრის გარდა.

### მადამ დე სევინიეს ჰაეროვანი კულულები

აღორძინების ეპოქასთან ერთად აღორძინდა თმის დახვევისა და ზონრით გაკვრის მოდაც. მაღალი საზოგადოების ქალები ახლა თავს მოქარგული ხავერდის პატარა ქუდით იმშვენებდნენ, მდაბიონი — ტილოს ჩაჩებით. ვენეციელი პატრიციები თმას იღებავდნენ რაღაც ნივთიერებით, რომელიც ნაცარტუტის მარილს შეიცავდა და მერე საათობით ეფიცხებოდნენ მზეს, რომ თმას ლამაზი ოქროსფერი მიეღო.

საფრანგეთის სამეფო კარზე არისტოკრატი ქალები თმას რკინის პატარა მაშებით იხვევდნენ, ჰოდა, იმდროინდელ მოდის მიმდევარ მანდილოსანთა პორტრეტებს რომ დახედოთ, იფიქრებთ, ეს ქალა „პერმანენტი" გაუკეთებიათო. ამ დროისათვის კვლავ შემოვიდა მოდაში თმის პუდრი. კარლოს IX-ს მეფობის დროს პუდრი სამი ფერისა ყოფილა: ოქროსფერი, ვერცხლისფერი და იისფერი. ის კი არა, ქალები პარიკსაც იდებდნენ თავზე, რომ სიქაჩლე დაეფარათ. ცნობილია ის ფაქტი, რომ როცა დედოფალ მარია სტიუარტისათვის ეშაფოტზე თავი მოუკვეთიათ, ჯალათს, რომ მისი თავი ხალხისათვის ეჩვენებინა, ხელი წაუვლია თმაში და აუწევია, მაგრამ თურმე უბედური პარიკს ატარებდა (ამას კი ვერავინ ამჩნევდა) და დედოფლის მოკვეთილი თავი ეშაფოტზე დაგორებულა რახრახით.

ერთი საუკუნის შემდეგ ფრანგი მწერალი ქალი მადამ დე სევინიე ერთ-ერთ წერილში თავის ვარცხნილობას ასე აღწერდა (შემდეგში ამ ვარცხნილობას მისი სახელი დაერქვა): „შუბლზე მაქვს ძალიან მოკლე, ოდნავ ჩამოშლილი კულულები, რაც სახეს განსაკუთრებულ პიკანტურობას ანიჭებს, საფეთქლებზე კი ჰაეროვანი კულულები, რომლებიც თვალების გამომეტყველებას რაღაც სინაზეს მატებს"...

საუბედუროდ, ლუდოვიკო XIV-ს კარის მანდილოსნები, როგორც ჩანს, საკმაოდ იშვიათად იბანდნენ თავიანთ შესანიშნავ კულულებს და იმდროინდელ ჟამთააღმწერლებს ზოგჯერ ჩვენამდე საოცარი ამბები მოაქვთ იმ სიმყრალის შესახებ, რომელიც ზოგიერთ მაშინდელ გამოჩენილ პირს ასდიოდა. მათივე გადმოცემით, უბრალო მოქალაქეები და გლეხი ქალები, რომლებიც წინ სადად გადივარცხნიდნენ თმას, კეფაზე კი ოდნავ აიმაღლებდნენ, უფრო მეტად ზრუნავდნენ სისუფთავეზე, ვიდრე დიდგვაროვანი ქალბატონები.

### პომადისა და პუდრის ფენები

1750 წლისთვის ქალები თავიანთ ვარცხნილობას ძვირფასი სავარცხლებით იმშვენებდნენ. მოდაში იყო კაპორები და ჩაჩები, რომლის ქვეშ თმას დიადემის მსგავსად ილაგებდნენ. ამ ხანებში პარიზელმა პარიკმახერმა ლეგრომ გახსნა დიდი საპარიკმახერო სალონი. შემდეგ კი სპეციალური სკოლაც შექმნა, სადაც მოწაფეებს თავის შესანიშნავ ხელობას ასწავლიდა. ეს მოწაფეები ვარცხნილობის ოსტატობას ღარიბი ქალიშვილების თმაზე სწავლობდნენ. ხშირად ფანჯრებიდან ქუჩაში ამ სვედამწვარი ქალიშვილების კივილი და გმინვა ისმოდა, — ეს მაშინ, როცა ლეგროს გაუწაფავი მოწაფეები ცხელ მაშებს შემთხვევით კანს მოახვედრებდნენ, ან თმის მთელ ბღუჯს ამოაგლეჯდნენ. გასამრჯელოს კი ეს უბედურები მეტად მცირეს ღებულობდნენ: მხოლოდ 20 სუს დღიურად.

ლეგრომ წიგნიც კი დაწერა ვარცხნილობის შესახებ. ამ წიგნს თავის დროზე დიდი დავიდარაბა გამოუწვევია, რადგან ლეგრო თავის წარჩინებულ კლიენტებს საყვედურობდა იმის გამო, რომ ისინი ცუდად უვლიან თმებს, ხშირად თმაში სარჭებით იძინებენ და თვეობით ინახავენ შუბლზე პუდრისა და პომადის ფენებს, რაც ხელს უწყობს მკბენარების გაჩენას.

სახამებლის პუდრი კი მაშინ მართლაც დიდ გასავალში ყოფილა. ირწმუნებიან კიდეც, რომ მაშინდელ ვარცხნილობებზე იმდენი ფქვილი იხარჯებოდა, რომ ის თამამად იკმარებდა ათიათასი დამშეული ადამიანის გამოსაკვებად!

რაც შეეხება თვითონ ლეგროს, ბოლოსდაბოლოს ის სულ მიატოვეს კლიენტებმა — „უხეშია და უზრდელიო."

### ვარცხნილობები „ამაზონკა" და „ა-ლა ფრეგატი"

მალე მოდაში შემოვიდა პარიკმახერი ლეონარი, რომელმაც ერთხელ კარგი ვარცხნილობით დაამშვენა ლუდოვიკო XV-ს სატრფო მადამ დიუ-ბარი. სწორედ ლეონარმა გამოიგონა მარია ანტუანეტასა და მისი მეგობრებისათვის ის გასაოცარი კოშკები თავზე, რომლის გამოც ორ ქალს არ შეეძლო ერთდროულად ერთ კარეტაში ჩაჯდომა — ვარცხნილობები „ამაზონკა" და „ა-ლა ფრეგატი". ამ ვარცხნილობის მოსართავად გამოიყენებოდა ისეთი „სამხედრო" დეტალები, როგორიცაა იალქნები, სამხედრო ალმები და დაფდაფები. ასეთ ვარცხნილობათა აღწერამ ჩვენამდეც მოაღწია. მაგალითად, ცნობილია გრანდიოზული ვარცხნილობა „ოპერის ლოჟა", რომელიც ქალის სიმაღლეს 72 დიუმით ზრდიდა, — ზუსტად ამ ზომისა ხდებოდა მისი პატრონის სიმაღლე ნიკაპიდან ვარცხნილობის წვერომდე.

საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ მოდა ისევ ძველ, სადა ვარცხნილობას დაუბრუნდა: კეფაზე მძიმე გრაგნილად დახვეულ თმას, გადაჭერილს ზონრით. მოდაში შემოვიდა აგრეთვე მსხვილ ტალღებად დახვეული თმა. რომანტიზმის ეპოქაში ამას კიდევ დაემატა ლოყების გასწვრივ დაკიდებული გრძელი კულულები, ე. წ. ინგლისური კულულები, რაც, როგორც მაშინ ფიქრობდნენ, სახეს უფრო დახვეწილსა და გამხდარს აჩენდა.

მაგრამ II იმპერიის წლებში ისევ ჩნდება მაღალი ვარცხნილობები, ხოლო ქიმიის განვითარებასთან ერთად სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს თმის შეღებვა.

### მოკლე ვარცხნილობა — „ბიჭური"

1900 წელს ვარცხნილობა ჯერ კიდევ ძალიან რთულია. ხელოვნურად დამზადებულ კულულებს იკეთებენ, სადაც კი მოახერხებენ: კეფაზე, შუბლზე, საფეთქლებთან, საქოჩრეზე და ამ კულულებს იმაგრებენ კუს ბაკნის სავარცხლით, რომელსაც ნიჟარის ფორმა აქვს.

საფრანგეთში ამ დროს პარიკების დასამზადებლად ყოველწლიურად იხარჯებოდა 180.000 კგ თმა. მრეწველობის ამ დარგის წლიური ბრუნვა კი შეადგენდა ოცდაათ მილიონს ოქროს კურსით.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ქალები თავიანთ დამოუკიდებლობას გარეგნულად გამოხატავდნენ მოკლე — „ბიჭური" ვარცხნილობით. იმ დროისათვის ეს თავის მომჭრელ ამბად მიაჩნდათ.

„ამან და ამან თმა შეიჭრა", — ისმოდა ხშირად შეცხადება. ქალთა სიტურფის მოტრფიალენი ცხარედ იგლოვდნენ „მანდილოსანთა უმშვენიერეს მოსართავს".

მაგრამ 1930 წლიდან კვლავ დაბრუნდა მოდაში ნახევრად გრძელი თმა და ხელახლად გაჩნდა ხელოვნური კულულები.

დღეს მოდაშია ხელოვნურად აპენტილი თმა, თუმცა ვარცხნილობის არჩევანში ქალთა უმრავლესობა აღარ ხელმძღვანელობს მხოლოდ მოდით. ქალები ცდილობენ შეარჩიონ ვარცხნილობა, რომელიც მოუხდებათ და რომელიც ეხამება მათი სახის მოყვანილობას. სწორედ ესაა სიკეკლუცის ყველაზე გონიერი ფორმა.






ფოტო (ზევიდან ქვევით):

მარცხნივ —

ბერძენი ქალის ვარცხნილობა. გამოსახულებ ძველ მონეტაზე, რომელიც სირაკუზშია ნაპოვნი.

რომაელი ქალის ვარცხნილობა. მონეტზე გამოსახულია რომის იმპერატორის სეპტომიუს სევერის მეუღლე.

იზოტა და რიმინი. მატეო დეი პასტის მედალი, 1446 წ.

მადლენ დე კრეკი. ვარცხნილობა „ა-ლა სევინიე", XVII-ს.

მარჯვნივ —

— : —

ვარცხნილობა „ა-ლა ფრეგატი".

ვარცხნილობის ერთ-ერთი ნიმუში, რომელიც აღწერილია ლეგროს წიგნში: „ფრანგი ქალბატონების ვარცხნილობის ხელოვნების ესტამპთა კრებული".

— : —

ჩვენს დროში ქალების უმრავლესობა ირჩევს ისეთ ვარცხნილობას (ორი ფოტო ქვევით), რომელიც მათი სახის ტიპს მოუხდება.

ჟურნალიდან „ფემინინი მირა".

# სიტყვა თქვენ გეკუთვნით

## მინდა ვიცოდე...

მინდა პირადად გიცნობდეთ, ვიცნობდე თქვენს ქმარს, შვილებს. მაშინ უფრო კარგად მეცოდინებოდა თქვენი ცხოვრება, მოგცემდით რჩევას. როგორ მინდა არ დაინგრეს ის, რაც ამდენი წელი აშენეთ!

ნაცნობ-მეგობრების ოჯახებს გადავავლე თვალი, იქნებ სულაც ჩემი ახლობელი წერს-მეთქი წერილს, მაგრამ ასეთი მათ შორის არავინ იყო. ყველანი მეტნაკლებად ცხოვრობენ თანხმობით, ზოგჯერ აქვთ პატარა უსიამოვნება, მაგრამ უფრო მეტად სიამტკბილობა.

თქვენს შესახებ კი, ჩემო უცნობო მეგობარო, კიდევ უფრო ბევრი რამ მინდა ვიცოდე, ვიდრე წერილში წერთ. მე ვფიქრობ, თქვენ არ გაჰყვებოდით ადამიანს, რომელსაც ასეთი ხასიათი ჰქონდა. არა, ის თავიდან ასეთი არ იქნებოდა, რომ შეგიყვარდათ და ცოლობაზე თანხმობა მიეცით! ალბათ, სულ სხვანაირი იყო მაშინ. ეს უდაოა. ქორწინების პირველ ხანებშიც ალბათ ბედნიერები იყავით. მერე ბავშვი შეგეძინათ, თქვენი ყურადღება ალბათ თქვენდა უნებურად მოაკლდა ქმარს. იქნებ აქედან დაიწყო მისი მძიმე ხასიათები? მე ვფიქრობ, სადღაც თქვენ შეცდომა დაუშვით, ჩემო კარგო. თუ ადამიანი თავიდან შეიყვარეთ და ცოლად გაჰყევით იმიტომ, რომ კარგი იყო, შემდეგ მის შეცვლაში იქნებ საკუთხც გიდევთ ბრალი? მე მინდა თქვენი ეს შეცდომა მოვძებნო და მენანება, რომ თქვენი ცხოვრების ადრეულ პერიოდზე არაფერს იწერებით. მაინც ფიქრით ვაგრძელებ თქვენს ცხოვრებას და ჩემთვის ვიქმნი სურათს, თუ რა იყო მერე, როცა დაიბადა ბავშვი. იქნებ თქვენში სიცივე დაინახა ქმარმა, რადგან უფრო ხშირად გხედავდათ შვილზე მზრუნველს? იქნებ ჩასთვალა, რომ გაკლიათ ის აუცილებელი სითბო, რაც ქალს ყოველთვის უნდა ჰქონდეს და მისთვის თქვენც უინტერესო შეიქენით.

მაპატიეთ, თუ მე ვცდები და თქვენ ყველაფერში, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, მართალი ხართ. მაშინ სხვა რამ მინდა გკითხოთ. განა ერთად არასოდეს ყოფილხართ საზოგადოებაში, თავშესაყარ ადგილებში? ვერ დავიჯერებ. სანამ თქვენს ცხოვრებას ერთმანეთს დაუკავშირებდით, უსათუოდ ივლიდით, მერეც ივლიდით, ეჭვი არ მეპარება. და რამდენი რამ საერთო იბადება, როცა ერთმანეთს უზიარებთ შთაბეჭდილებას, აზრს; და მერე? მერე იქნებ ერთხელ დაგეზარათ და უარი თქვით წასვლაზე. მეორედაც რაღაც მიზეზი გამოჩნდა და თქვენც თავი ვერ აიშვით. ასე და ამგვარად, აღარ ისურვეთ (თუ ვერ მოახერხეთ) ოთახის კედლების მიტოვება და ფიქრიც კი შეწყდა ამგვარ წინადადებებზე. ის ბავშვობად და მოცლილების საქმედ ჩასთვალეთ და თქვენი სულიერი სიახლოვეც დაირღვა, თქვენი ინტერესები შემოიფარგლა მხოლოდ ოჯახის მოვლით, სადილ-ვახშმის კეთებით და სუფრის გაწყობით. თქვენი უთანხმოებაც ხომ ძირითადად, როგორც თვითონ წერთ, ამ საკითხების ირგვლივ ტრიალებს! ოჯახში ქალი მარტო ცოლი, დედა და დიასახლისი კი არ არის, არამედ მეგობარი, მესაიდუმლე, თანამგრძნობელია.

კიდევ მაპატიეთ, იქნებ ძალიან ბევრს ვბედავ... მაგრამ მე ხომ ყველა ამ მიზეზს ძალად არ გახვევთ თავზე. მე მხოლოდ ვფიქრობ და ეს ფიქრი ქაღალდზე გადამაქვს. შეიძლება თქვენ ყველაფერში მართალი ხართ და ქმრად შეგხვდათ ისეთი ადამიანი, რომელიც თვალთმაქცობდა, მსახიობობდა, სანამ ცოლად გაჰყვებოდით და შემდეგში უკვე თავისი „კაიკაცობა“ ვერ დაჰფარა...

ხათუნა მშვიდობაძე,

თბილისი.

## [illegible]!

უცნობი ქალის წერილი ჩვენს ოჯახში ხმამაღლა წავიკითხეთ. ამ წერილის კითხვას ჩემი დაც უსმენდა. ჩემი და ჩემზე ოთხი წლით უფროსია და მალე გათხოვდება. მისი საქმრო ხშირად მოდის ჩვენთან. ჩვენ ის ყველას ძალიან გვიყვარს იმიტომ, რომ კარგი ვაჟკაცია და ძალიან უყვარს ჩვენი მანანა.

მაგრამ ახლა, იმ წერილის წაკითხვის შემდეგ, ჩემდა უნებურად ჩემი სასიძოს დანახვაზე ზოგჯერ გავიფიქრებ ხოლმე: ვაითუ, ჩემი მანანაც საბოლოოდ ისეთ დღეში აღმოჩნდეს, როგორც ის უცნობი ქალი?

მამაჩემი კარგი ვაჟკაცი კაცია. ჩვენს რაიონში მეორე ასეთი ვაჟკაცი არც მეგულება. მაგრამ სახლში მისი ჩხუბი, რაც თავი მახსოვს, არ გამიგია. ერთი კვირის წინ, მანანას ნიშნობაზე სტუმრები გვყავდა. სტუმრები საერთოდ ჩვენთან ხშირად დადიან. ისინი გვიან დაიშალნენ. დედა და მანანა სუფრას ალაგებდნენ. მამა ეხმარებოდა. მამა მათ ყოველთვის ეხმარება, როცა ატყობს, რომ ისინი დაღლილები არიან, და სხვა დროსაც ხან პურს მოიტანს, ხან სამსახურიდან ბაზარში გამოივლის. თუმცა იმის მეათედსაც ვერ აკეთებს, რასაც დედა. მაგრამ დედა მაინც კმაყოფილია და როცა ლაპარაკი მანანას გათხოვებაზე ან ჩემი ცოლის შერთვაზე ჩამოვარდება, ყოველთვის იტყვის ხოლმე: „მე ძალიან ბედნიერი ცოლი ვარ და ყოველთვის ვიყავიო. ღმერთმა ჰქნას, რომ ჩემს შვილებსაც ჩემი ბედი გამოჰყვეთო“.

მე დედას ვერასოდეს ვეხმარებოდი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ვსწავლობ და ცურვაზე დავდივარ, მერე კი რაღაც არასოდეს დავფიქრებულვარ იმაზე, რომ დედა იღლება, შესაძლებელია იმიტომ, რომ არასოდეს ამბობს — დავიღალეო.

აი, იმ ღამეს, მანანას ნიშნობაზე, უკვე თენდებოდა სტუმრები რომ დაიშალნენ, მე ცოტა დავთვერი, პირველად ჩემს სიცოცხლეში (წინათ მამაჩემი ღვინის სმის ნებას არ მაძლევდა). ერთი სიტყვით, ძალიან მეძინებოდა და ჩემი საძინებელი ოთახისკენ წავედი. მაგრამ მერე რატომღაც ისევ ის წერილი გამახსენდა. მეზარებოდა, მაგრამ მაინც სუფრასთან მივტრიალდი და დედას ვუთხარი, მოდი მოგეხმარებითქო.

დედას ცოტა გაუკვირდა (მე მგონი გაუკვირდებოდა) და მითხრა: შენ გეძინება, გურიკო, დაწექიო. მამამაც ასე მითხრა, მაგრამ მე მანანა დავაწვინე ძალის-ძალად, იმიტომ, რომ წინა დღით ბევრი იღელვა და ახლაც დაღლილობისაგან, თუ იმ ღელვისაგან, სულ აღარ ჰქონდა ფერი. როცა შემოვბრუნდი, დედა და მამა ხმადაბლა ჩურჩულებდნენ და ეცინებოდათ. მე მივხვდი, რომ ჩემზე ეცინებოდათ. მერე დასაძინებლად მაშინ დავწექი, როცა მთელი სუფრა ალაგდა. მანანას უკვე დიდიხანია ეძინა. მე ვუყურებდი და ვფიქრობდი: ნეტა იმ უცნობი ქალის ქმარს არა ჰყავს ან და, ან ქალიშვილი, რომელიც ისე გათხოვდება, როგორც ჩემი მანანა? ჰოდა, გაეხარდება, რომ მის დას (ან ქალიშვილს) ისე ზევიდან დაჰყურებდეს ქმარი, ისე იგდებდეს აბუჩად და არ ეცოდებოდეს, როგორც თვითონ არ ეცოდება თავისი ცოლი?

გ. ნ.

ქუთაისი.

რედაქციისაგან: ჩვენი მკითხველები ხშირად გვთხოვენ (წერილობით, ტელეფონით თუ პირადად) დავბეჭდოთ უცნობი ქალის მეუღლის საპასუხო წერილიც. მაგრამ ასეთი წერილი რედაქციას ჯერ არ მიუღია და ამის გამო მკითხველთა თხოვნასაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ ვასრულებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დოდუკა

რაჭის ერისთავმა გადაწყვიტა სოფელ ღების დაყმევება და იქ საბატონოდ თავისი ერთგული არეშიძეები გაგზავნა. ბუნების წიაღში აღზრდილ და თავისუფლებისმოყვარე ღებელებს ბატონი არასოდეს არ ჰყოლიათ, მაგრამ მოძმეთა კვნესა ესმოდათ ქვემო რაჭიდან და არ უნდოდათ მათი ბედის გაზიარება. ამიტომ იყო, რომ ღებელები მტრულად შეხვდნენ მებატონე არეშიძეების სოფელში შემოსვლას. ერთსულოვნად აღსდგნენ და ბრძოლა დაიწყეს კავკასიონის ამ ქედში შემოჭრილი საძულველი ფეოდალებისა და მებატონეების წინააღმდეგ.

არეშიძეები ოთხი ძმანი იყვნენ, მათ სოფელში დასახლება ხალხის შიშით ვერ გაბედეს, თავდაცვის მიზნით ციხე და საცხოვრებელი ბინაააგეს სოფლიდან ოთხი-ხუთი ვერსის მოშორებით, შოდის მთის მახლობლად, მდინარე შოდურას უფსკრულის პირას.

მებატონეების ციხე-სიმაგრეს წინა მხრიდან გაშლილი ველ-მინდორი ეკრა, რომელსაც ისინი საქონლის საძოვრად და სახნავსათესად იყენებდნენ. დღესაც არის იქ ნაშთი ციხისა, რომელსაც ხალხი „დეგციხეს" უწოდებს. დეგი არეშიძეების მამას ერქვა და ციხის სახელწოდებაც აქიდან არის წარმომდგარიო, ამბობენ ღებელები. მათ ნამოსახლარ ადგილს კი „არეშიძეს" ეძახიან.

მებატონენი ღებელებს საბეგარო გადასახადით და ყმური სამსახურით ავიწროვებდნენ, ართმევდნენ სურსათსა და საქონელს, გაზაფხულზე, ხვნა-თესვის დროს ჩადიოდნენ გორმანში (სახნავი ადგილია სოფელ ღებში) და რომელი ხარიც მოეწონებოდათ რქას მოსტეხდნენ „ეს ყანწად გამოგვადგებაო", ბოლოს ისე გაკადნიერებულან, რომ „პირველი ღამის უფლებაც მოუპოვებიათ". მებატონეების სისასტიკემ მთელი ღები აალელვა, რასაც მათ წინააღმდეგ შეთქმულება მოჰყვა. შეთქმულებას მეთაურობდა ღებელი ხალხის უშიშარი შვილი ზვიადა ლობჟანიძე, რომელიც „პირველი ღამის უფლების" შიშით ცოლს ვერ ირთავდა.

ზვიადას მხარში ედგა უშიშარი და მამაცი მებრძოლი ქალი დოდუკი, რომელმაც ხალხს ანდერძი დაუტოვა — არეშიძეებთან ბრძოლაში თუ დავიღუპო, ამას გთხოვთ, თქვენს მკვდრებთან ერთად ტაბლა ჩემთვისაც გამოაცხვეთ და შენდობა შემომითვალეთო.

ღებელებმა აღუთქვეს: „არა თუ ტაბლას, შენს საპატივცემულოდ და მოსაგონრად „დოდუქსაც" გამოვაცხობთო".

ხალხმა პირი შეკრა, შეთქმულების მეთაურს ერთგულება შეფიცა და უცდიდა ხელსაყრელ მომენტს არეშიძეების ამოსაწყვეტად.

ერთ საღამოს ნადირობიდან დაბრუნებული ძმები „წინჭალის" ხიდს მოადგნენ, სადაც მათ ჩასაფრებული შეთქმულნი ელოდნენ. გავარდა თოფი, ზვიადამ მოკლა უფროსი ბატონი, დოდუკმა უმცროსი გამოასალმა სიცოცხლეს, მესამე დასჭრეს და იგი რიონის მორევში გადაეშვა, მეოთხემ გაპარვა მოახერხა. მცურავი ბატონი პატარა ღებს რომ გაუსწორდა, იგი მოხუცმა გულითად გავაშელიშვილმა შენიშნა და მაღლა მთიდან მარჯვედ ნასროლი ისრით გული განუგმირა. „გაქცეულ მებატონეს მე გავუსწორდებიო" თქვა დოდუკმა და ცხენს მოახტა. შეშინებული მებატონე ადიდებულ მდინარე ჩვეშურში გადაეშვა და გასასვლელ ფონს დაუწყო ძებნა. მას დოდუკი წამოეწია. მებატონემ ვერ იცნო იგი, მივიდა მასთან და შეევედრა: უცხო მგზავრი ვარ, ქვემო რაჭას მივავალი, ადიდებული მდინარე ფეხდაფეხ ვერ გავიარე, შემიბრალე, ცხენზე შემისვი და გაღმა გამიყვანეო. დოდუკი ცხენიდან ჩამოხტა, ჯერ მგზავრი შესვა ცხენზე, მერე თვითონ უკან შემოუჯდა და მდინარეში შეცურდა. მორევს რომ მიატანა, დოდუკმა ბატონი წყალში გადააგდო და თვითონაც გადაყვა.



მხატვარი ლ. შენგელია

მდინარემ შთანთქა ორივე.

ასე მოიშორა სოფელმა საძულველი მებატონეები.

ღებელებმა არ დაივიწყეს გმირი ქალის ანდერძი.

ახალ წელს ყველა ოჯახში აცხობდნენ ადამიანის მზგავს პურს, რომელსაც მამაცი ქალის პატივსაცემად „დოდუკს" უწოდებდნენ.

სრულდებოდა საინტერესო წესი: „დოდუკს" პატარა კალათში ჩადებდნენ, კედელზე ჩამოკიდებდნენ და ექვს დღეს ასე ინახავდნენ, მერე, თანახმად ანდერძისა, ნათლიღებას წირვა-ლოცვაზე მიიტანდნენ, პატარ-პატარა ნაწილებად დასჭრიდნენ და ყველას შეახვედრებდნენ. დოდუკის პატივსაცემად სადღეგრძელოებს წარმოთქვამდნენ, ბოლოს ყველა ერთად სამჯერ დასძახებდა: „აცხონოს ღმერთმა დოდუკიო".

ს. რეხვიაშვილი

## ჩვენი საოჯახო კლუბი

ქედება ვითარებისა და გარემოების შესაბამისად. უცხო იქნება პატიება და დათმობა, რაც ზოგჯერ საჭიროა ადამიანთა დამოკიდებულებაში ზოგიერთი შემთხვევის დროს.

გურამის დედა აქ აღწერილ ორ შემთხვევაში და აღუწერელ ყველა დანარჩენ შემთხვევაში ცდილობდა ბავშვის დამშვიდებას უდანაშაულო ადამიანებზე და საგნებზე შურისძიების გზით. საჭირო კი იყო მოვლენის მიზეზში გაერკვია ბავშვი. ასეთი გაგება უმცირეს ასაკში ხორციელდება საგნებთან და მოვლენებთან მარტივი დამოკიდებულებით, რაც თანდათანობით ფართო შინაარსს უნდა იღებდეს.

გურამმა იატაკზე უადგილოდ დადგმულ ნივთს ფეხი წამოდო, დაეცა და შუბლი იტკინა.

# ნუ ჩავუნერგავთ ბავშვს შურისძიების ჩვევას

ადამიანი უნდა აღზარდო ისე, რომ ბედნიერი იყოს, — ამბობს გამოჩენილი რუსი პედაგოგი ა. ს. მაკარენკო: შურისძიების თვისებით გამსჭვალული ადამიანი ბედნიერი ვერ იქნება. განა ეს ამბავი თვითეული ჩვენგანისათვის ცნობილი არ არის? მაშ, რად ვუწყობთ ხელს აღსაზრდელის ხასიათში მავნე ჩვევის დამკვიდრებას?

თქვენ არც გაქვთ, ჩემო მეგობრებო, ცხადად წარმოდგენილი, რომ თვითონ თესავთ და ზრდით თქვენი ბავშვების ხასიათში შურისძიების ჩვევას. თქვენი მოქმედება ბუნებრივად და მართებულად მიგაჩნიათ. მისი მნიშვნელობა არაა თქვენს შემეცნებამდე მისული.

უცოდინარობა ბოროტების დედაა. აღმზრდელის უცოდინარობა ნერგავს აღსაზრდელის ხასიათში შურისძიების ჩვევას.

ორიოდე სიტყვით მინდა მივცე მშობლებს რჩევა ამ საკითხის ირგვლივ, უმჯობესია მოვლენის წარმოშობისა და განვითარების პროცესში. დაკვირვების ობიექტად ავიღოთ ერთი ოჯახი, სადაც ხშირად მიხდებოდა ყოფნა და არასწორი აღზრდის ბევრი შემთხვევის მოწმეც ვყოფილვარ.

—რა მეშველება ასეთი ბოროტი ბავშვის ხელში?! —წამოიძახა აღშფოთებულმა დედამ.

— რა მოხდა?

— გურამმა მზიას დედოფალა ნაკუწ-ნაკუწად აქცია.

— რატომ?

— შური იძია. მზიამ მის ლეკვს ქვა ესროლა.

— ჰმ, რად გიკვირთ? შურისძიებას გურამი ხომ თქვენ მიაჩვიეთ?

— მე?!

— დიახ თქვენ! — გაიხსენეთ:

პატარა გურამმა იატაკზე უადგილოდ დაგდებულ ნივთს ფეხი წამოჰკრა და დაეცა. გულგახეთქილმა, ატირებული ბავშვი წამოაყენეთ. ფეხსაცმლის ქუსლებით იატაკს ცემა დაუწყეთ, თან გამომწვევად ამბობდით:

— აი ასე! ესეც შენ! რად ატკინე ჩემ შვილიკოს შუბლი! აი, კიდევ, — და უკანასკნელად მთელი ძალით დაჰკარით ფეხი იატაკს. ბავშვმა თავი დაანება ტირილს. პატარა ფეხებს თქვენი მიბაძვით აბაკუნებდა და კმაყოფილი იღიმებოდა.

— ამასაც, დედიკო, ამასაც! ამისი ბრალი იყო!—წამოიძახა აღგზნებულმა ბავშვმა და ნივთს, რომელსაც ფეხი წამოდო, ჯოხით ცემა დაუწყო.

— სულ ეს არის? — ამბობს შემკრთალი დედა.

— რა თქმა უნდა, არა! ეს მხოლო დასაწყისია, შურისძიების თესლის პირველი მარცვლების ჩათესვა. თესლს გასაღვივებლად ნოყიერი ნიადაგი ესაჭიროება. თქვენი ლმობიერი გული ხელს უწყობდა ყოველთვის ამ მარცვლების გაღვივებას და აღმოცენებული შურისძიების ნერგის ზრდას.

ერთ მშვენიერ საღამოს, როდესაც ცხრათვალა მზე შეცვალა ნაზმა მთვარემ და ვარსკვლავებმა, ბავშვებმა ეზოში თამაშს თავი დაანებეს და შინისკენ გამოემართნენ. პატარებმა მხიარული გუნება-განწყობა ეზოდან ოთახებში გადაიტანეს. გურამმა და მეზობლის ნანულიმ ხელის თითები კაუჭივით მოხარეს, ერთმანეთს გამოსდეს და ტრიალი დაიწყეს. კმაყოფილება ყვაოდა მათ ლოყებზე, თვალებში. ბედნიერნი უღიმოდნენ ერთმანეთს. მაგრამ დახეთ უბედურებას! თითები აუსხლტათ. გურამმა თავი ვერ შეიკავა და იატაკზე გაიშხლართა. ატირებული ბავშვიააყენეთ. მისი ცრემლები გულს გითუთქავდათ. ცდილობდით მალე დაგემშვიდებინათ. ამ ამბავში ნანული რომ არ იყო დამნაშავე, ეს თქვენთვის ცხადი იყო, მაგრამ მაინც მისი „დასჯით" გადაწყვიტეთ გურამის დამშვიდება.

— ეს საძაგელი გოგო! სულ ამის ბრალია! — წამოიძახეთ მკვახე ხმით და ნანულის ხელი წაავლეთ. მის ზურგთან თქვენი ხელების ტკაცანი გაისმა. — ესეც შენ! აი კიდევ!.. იტირე, გოგო!— ჩასჩურჩულეთ. ნანულიმ თვალებზე ხელები აიფარა და სლუკუნი ამოუშვა, გურამი იდგა კმაყოფილი, აღარ ტიროდა. ხელის გულებით თვალის უპეები ამოიმშრალა.

ნანულის მივარდა:

— საძაგელო გოგო! — და მთელი ძალით ხელი ჰკრა.

...—ნუთუ ესაა მთავარი? — კითხულობს კიდევ უფრო შეშინებული დედა.

მთავარი ისაა, რომ ასეთი მომენტები გაგრძელდა დაუსრულებლად. თანდათანობით დამკვიდრდა გურამის ხასიათში ჩვევა: — არ დაუთმოს არავის, ყველას მიუზღოს სამაგიერო. აღსრულებული შურისძიება ატკბობდა არა მარტო გურამს, არამედ დედაც განიცდიდა კმაყოფილებას, ბავშვის დამშვიდების ასეთ იოლ გზას რომ პოულობდა. დედისთვის მთავარი იყო ტკივილი არ დამჩნეოდა ბავშვის გულს.

— ნაზი არის ბავშვის გული, ნერვები კი სუსტი, — ფიქრობდა დედა და იმას ვეღარ საზღვრავდა, რომ ასეთი ბავშვის ხასიათში მავნე თვისებას ნერგავდა.

უსათუოდ უნდა გავუფრთხილდეთ ბავშვის გულს და ნერვებს. ამ საკითხზე ცალკე გვექნება საუბარი, ახლა მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ბავშვის გულის და ნერვების გაფრთხილება იმას როდი ნიშნავს, რომ არ მივაჩვიოთ სამართლიანობას, მომხდარი ამბის გაანალიზებას და კმაყოფილება ვაპოვნინოთ უდანაშაულო ადამიანებზე და საგნებზე შურისძიებაში. გურამის მსგავსად აღზრდილ ადამიანებს არ ექნებათ იმის უნარი, რომ გაუგონ სხვებს, შეაფასონ მათი მოქგონიერი დედა ასე მოიქცეოდა:

— ოი, ოი! ვინ დააგდო ეს ნივთი აქ?! თავის ადგილზე რომ დებულიყო, ხომ არ დაეცემოდი. მივუჩინოთ მას თავისი ბინა, თორემ კიდევ დაეცემი, — დაეკოცნა ნატკენი შუბლი, მოფერებოდა და ორივეს იატაკზე უადგილოდ დაგდებული ნივთი მიეტანათ თავის ადგილზე.

ნანული „დასჯის" ნაცვლად დედას უნდა შეექო, რომ მან შესძლო სხეულის შეკავება და არ დაეცა. გურამს მოფერებოდა და ეთქვა: — დაეცი იმიტომ, რომ დაიღალე. თითები მოგიდუნდა, ვეღარ შეძლეს შენი ტანის დაჭერა. მეტისმეტი არ შეიძლება, უნდა დაისვენო ხოლმე.

— ვერ გააჩუმებდაო, თქვენ გინდათ თქვათ?— უმჯობესია ბავშვმა დაღვაროს ზედმეტად რამდენიმე ცვარი ცრემლი, ვიდრე კმაყოფილება ვაპოვნინოთ შურისძიებაში. ამით თქვენ ორ საქმეს გააკეთებთ: ერთი რომ არ მიაჩვევთ ბავშვს სამაგიეროს გადახდას, ჯავრის ამოყრას და მეორე მხრივ, მიაჩვევთ სიფრთხილეს და გაგებას.

მშობლების უმრავლესობა ყურადღებას არ აქცევს ბავშვების ხასიათში გამოვლინებულ ცუდ თვისებებს. ხშირად ართობთ მცირეწლოვანი შვილების „გმირობა", ამას ჩადიან იმ მოსაზრებით, რომ პატარებს ბევრი არაფერი გაეგებათ, წამოიზრდებიან და შემდეგ დავიწყებთ მათ აღზრდასო. ამის საპასუხოდ მინდა მოვიყვანო ძველი თქმულება:

მეცნიერთან მივიდა კაცი და ჰკითხა:

— ბავშვის აღზრდა მინდა, როგორ მოვიქცე?

— რა ხნისაა თქვენი ბავშვი? — ჰკითხა მეცნიერმა.

— სამი დღის.

— დაგვიანებულია, — მიუგო მეცნიერმა.

სამი დღის ბავშვის აღზრდის დაწყება, ცხადია, დაგვიანებული არ არის, მაგრამ ეს თქმულება იმაზე მიგვითითებს, რომ ბავშვის ხასიათის აღზრდა გაცილებით ადვილია, ვიდრე მისი გადაკეთება.

ნუ დავეყრდნობით მცდარ შეხედულებას! ნუ დაველოდებით ბავშვის წამოზრდას! ნუ დავამკვიდრებთ მის ხასიათში ჩვილობიდანვე მავნე ჩვევებს! და თუ აღზრდას არ განვსაზღვრავთ მარტო დარიგებებით და სწავლებით, არამედ წარმოვიდგენთ გრძელ და რთულ პროცესად, რომლის განმავლობაში ადამიანის ხასიათში გარკვეული ჩვევები მკვიდრდება, მაშინ აღარ გაგვიკვირდება ბავშვის გაჩენის დღიდანვე აღზრდის დაწყების აუცილებლობა.

ადამიანის ხასიათში ბავშვობიდანვე ფესვგადგმული ჩვევები მტკიცეა და ცოცხლობს მთელი ცხოვრების მანძილზე.

ჯულიეტა ბრძელიშვილი

# ლამაზი აღნაგობისათვის ქალებში პოპულარობა

(წერილი მეორე)

## ვარჯიშები ჯოხებით

1. ჯოხი ტანს უკან იდაყვებში ამოდებული. ფეხები განზე. ავიწიოთ ცერებზე. გავიზნიქოთ. კარგია ამ მდგომარეობაში ჯდომა და სიარული (სურ. 1).

2. ჯოხი ტანს უკან, ბეჭებზე. ხელები მხრებზე განივრად. ნაბიჯი მარცხნივ, წელში გავიზნიქოთ. იგივე — მეორე ფეხით (სურ. 2).

3. ჯოხი ტანს წინ, ქვევით. ხელები მხრებზე განივრად. ორ თვლაზე ცერებზე აწევით ჯოხი ზევით, გავიზნიქოთ. სამზე-ოთხზე დავუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას (სურ. 3).

4. იგივე ვარჯიში, დავუმატოთ ნაბიჯი წინ, ჯერ მარცხენა ფეხით, მერე მარჯვენათი (სურ. 4).

5. ჯოხი ტანს უკან, მოხრილი მკლავები გადადებულია ჯოხზე. წინ ზნექი, თავი მაღლა (სურ. 5).

6. ჯოხი ვერტიკალურად დავდგათ იატაკზე. გამართული მკლავებით დავეყრდნოთ ჯოხს. გავაკეთოთ რამდენიმე ზნექი თავის მაღლა აწევით (სურ. 6).

7. ჯოხი ტანს ქვევით, ხელები მხრებზე განივრად. ზეტანის მარცხნივ ბრუნვით ჯოხი ზევით, უკუზნექი. იგივე — მარჯვენა მხარეს (სურ. 7).

8. წონასწორობა ერთ ფეხზე. ჯოხი თავს ზევით, წელში გავიზნიქოთ. ვიდგეთ 2-4 თვლა (სურ. 8).

9. ჯოხი ტანს უკან, ხელები მხრებზე განივრად. ჯოხს ამოვდოთ მარცხენა ცერი, წელში გავიზნიქოთ, თავი ავწიოთ მაღლა. შევცვალოთ ფეხი (სურ. 9).

10. დავდგეთ მუხლებზე. ჯოხი ქვევით, ხელები მხრებზე განივრად. ჯოხი ზევით, გავიზნიქოთ. თავი უკან. ვარჯიში სრულდება ნელ ტემპში (სურ. 10).

11. დავწვეთ იატაკზე, ჯოხი ტანს უკან წელზე. ხელები მხრებზე განივრად. ერთ თვლაზე ენერგიულად გავიზნიქოთ. ჯოხი რაც შეიძლება უკან. მეორე თვლაზე — საწყისი მდგომარეობა (სურ. 11).

12. იგივე საწყისი მდგომარეობა. ამოვდოთ ჯოხს ცერები. წელში გავიზნიქოთ, თავი მაღლა (სურ. 12).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: შედარებით სუსტი ჯანმრთელობის მქონეთ შეუძლიათ ვარჯიშები ჩაატარონ მცირე შესვენებით.

ზიზი ყირმელაშვილი,
სპორტის ოსტატი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნათურები ჩვენს ბინაში



როგორი ჭაღი ვიყიდოთ, მოსახერხებელია თუ არა მუშაობისთვის ეს ნათურა, სად უკეთესია ტორშერის დადგმა? — ეს საკითხები ბევრ ჩვენგანს აინტერესებს. ოთახის განათება ნაკლებსაყურადღებო ამბავი როდია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მყუდროების შესაქმნელად, ზოგიერთ ოჯახში ჯერ კიდევ ვერ ელევიან ფერადი აბრეშუმის ფარფარა აბაჟურებს. ხანდახან ამ აბაჟურებზე ყვავილებს ამაგრებენ, ხანაც — ხავერდის მაიმუნს ან ცელულოიდის თუთიყუშს. მაგრამ ასეთი აბაჟური არაა მოხერხებული: ის მხოლოდ მაგიდის შუაგულს ანათებს, ხოლო ოთახის მეტ ნაწილს ბნელში ტოვებს. აბრეშუმის არშიები და ნაკეცები კი დიდძალ მტვერს აგროვებს. გარდა ამისა, ასეთი აბაჟურები არც თანამედროვე ავეჯს უხდება.

ახლა იყიდება სამაგიდო ნათურები მოძრავი აბაჟურებით. მათი გადატანა შეიძლება ერთი ადგილიდან მეორეზე, ასე რომ, სამაგიდო ნათურები შეიძლება სულ სხვადასხვა საოჯახო საქმიანობის დროს გამოვიყენოთ.

ჭაღები, ტორშერები, მაგიდის და კედლის ნათურები მზადდება სხვადასხვა ფერისა და ფაქტურის პლასტიკური მასებისაგან, კერამიკისაგან, მინისა და სხვადასხვა სპეციალური ქაღალდისაგან.

როცა ჩვენი ბინისთვის ნათურებს ვარჩევთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ოთახის სიდიდე და მისი დანიშნულება. 2,5-2,7 მ. სიმაღლის ოთახისათვის რეკომენდებულია პატარა ჭაღი ან ჭერის ნათურა (პლაფონი).

უფრო ხშირად, ჭაღს ოთახის ცენტრში ჰკიდებენ. თუმცა, ეს არაა აუცილებელი. საერთოდ, ჭაღის ადგილი განისაზღვრება ოთახში ავეჯის განლაგებით. თუ მაგალითად, სასადილო მაგიდა არ დგას ოთახის ცენტრში, ამ შემთხვევაში უკეთესია ჭაღი ოთახის შუაგულში კი არა, მაგიდის თავზე დავკიდოთ.

ამ ბოლო ხანებში ბევრ ბინაში გაჩნდა ტორშერები. ისინი იმითაა მოხერხებული, რომ შეიძლება გადავიტან-გადმოვიტანოთ. გარდა ამისა, ტორშერის მეშვეობით შეიძლება როგორც მთელი ოთახის, ისე მისი ცალკეული კუთხეების განათებაც. კარგია ტორშერის მოთავსება საჟურნალო მაგიდასთან, სავარძელთან, დივანთან.

საკმარად მოსახერხებელია, ფორმით ლამაზია და კედელსაც ალამაზებს კედლის ნათურები — ბრები. ჩვენი მრეწველობა ახლა ამზადებს სულ სხვადასხვა სახის ნათურებს, მათ შორის — კომბინირებულ კედლისა და მაგიდის ნათურებს.

საწერი მაგიდის, სეკრეტერისა და ბავშვის მაგიდის გასანათებლად ყველაზე ხშირად გამოიყენება სამაგიდო ნათურა სადა აბაჟურით, რომელიც მაგიდის მხოლოდ იმ ნაწილს ანათებს, რომელიც სამუშაოდ გვჭირდება და, ამრიგად მყუდროებასაც ქმნის და ჩვენს მხედველობასაც ზოგავს. საწოლთან მდგარ ტუალეტის ან საჟურნალო მაგიდაზე შეიძლება დავდგათ აბაჟურიანი ნათურა, რომელიც რბილ და გაფანტულ შუქს იძლევა.

თუ გადაწყვეტილი გვაქვს, რომ ოთახში ტორშერიც უნდა გვქონდეს, ჭაღიც და კედლის ნათურებიც, მაშინ განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა მოვიფიქროთ მათი განლაგება და ფორმაც. ერთ ოთახში არ შეიძლება ორი ტორშერის დადგმა, ორი ჭაღის დაკიდება, მაგრამ თუ ოთახი დიდია, მასში შეიძლება მოთავსდეს რამდენიმე კედლის და მაგიდის ნათურა. თუ დივანის ან ტახტის გვერდით დგას საჟურნალო მაგიდა და ტორშერი, არ ღირს მაგიდაზე ან დივანის თავთან კიდევ სხვა ნათურების მოთავსება. ასევე არ გირჩევთ სასადილო მაგიდის განათებას სამაგიდო ნათურით. არ შეიძლება სასადილო მაგიდის გვერდით ტორშერის დადგმაც.

და კიდევ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: ბრების ფერი აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს ოთახის ფერს. ტორშერის ფერი უნდა უხდებოდეს იმ დივანის ან სავარძლის შალითის ფერს, რომლის გვერდითაც ის დგას. თუ ოთახში რამდენიმე ნათურაა, მაშინ ოთახის უფრო „სასტუმრო" ნაწილში შეიძლება, მაგალითად, ფერადი პლაფონებიანი ჭაღის დაკიდება ან ხასხასა აბაჟურიანი ტორშერის დადგმა. დანარჩენი ნათურები კი უფრო სადა უნდა იყოს ფორმითაც და ფერითაც.

საძინებელ ოთახში არ არის მიღებული მჭახე ფერის აბაჟურიანი ნათურების გამოყენება. აქ უფრო მოუხდება რბილი ტონები: ღია მწვანე, ჩალისფერი, ღია ცისფერი.

ასე არ შეიძლება გამოვიყენოთ მკვეთრი ფერის აბაჟურები საწერი მაგიდის გასანათებლად და ბავშვის კუთხისათვის. სამზარეულოს, წინაკარისა და დერეფნის გასანათებლად გამოდგება ყოველნაირი ფერის ნათურები, როგორც ჩამოსაკიდებული, ისე კედელზე დასამაგრებელი.

**გარეკანის პირველ გვერდზე** — ზევით — ილია ჭავჭავაძე; ქვევით — ილიასეული სახლი საგურამოში.

**გარეკანის მეოთხე გვერდზე** — ზევით — ილიას სახლმუზეუმი ყვარელში; ქვევით — სახლი თბილისში, სადაც მოთავსებული იყო «ივერიის» რედაქცია.

რედაქტორი თ. აბაშიძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია. ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/X-62 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71.
ტირაჟი 45.000. ფასი 30 კაპ.
შეკვეთის № 1895 უე 03353

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Кали".
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური იუმორი

ც ო ლ ი: შეხედე, როგორ მოვრთე ჩემი სადღესასწაულო ტორტი! როგორ ფიქრობ, ხომ საოცარი გემოვნება მაქვს?

ქ მ ა რ ი: (სანთლებს ითვლის): გემოვნება კი, მაგრამ ანგარიში?

* * *

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი ს ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი: რა ჰქენი, სთხოვე მამაჩემს ჩემი ხელი?

მ ო რ ც ხ ვ ი ს ა ქ მ რ ო: არა... როგორც კი შევდგამ ფეხს მამაშენის სამსახურში, გამბედაობა მეკარგება. დღეს კიდევ ერთი კბილის ამოღების ნება დავრთე..



მხატვარი ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა

* * *

ს ა ს ტ უ მ რ ო შ ი ჩ ა მ ო ს ხ ტ ა რ ი მ გ ზ ა ვ რ ი: აქ ყოველთვის ასე ჩამოდის წყალი?

ს ა ს ტ უ მ რ ო ს პ ა ტ რ ო ნ ი: არა, სერ. წყალი აქ მხოლოდ მაშინ ჩამოდის, როცა წვიმს.

* * *

ორი მგზავრი სასტუმროში შეჩერდა. მათ უჩვენეს ძალზე ჭუჭყიანი ოთახი.

— რა ღირს ეს საღორე? — იკითხა ერთერთმა მათგანმა.

მეპატრონემ უპასუხა:

— ერთი ღორისთვის 2 დოლარი, 2 ღორისთვის 3 დოლარი, სერ.

* * *

ს ა ქ მ რ ო: მე იმდენს ვშოულობ, რომ შენისთანა ქალს ორს შევინახავ.

ს ა ც ო ლ ე: მაშინ დედაჩემი ჩვენთან იცხოვრებს.

* * *

მ ყ ი დ ვ ე ლ ი: დიდხანს გამიძლებს ეს ფეხსაცმელი?

გ ა მ ყ ი დ ვ ე ლ ი: დიდხანს? რა ვიცი, ჯერ არავინ მოსულა მეორე წყვილის საყიდლად და...

* * *

ერთი ფერმერი დიდ ქალაქში ჩავიდა ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად. მან სასტუმროს კარისკაცს ჭამის საათები გამოჰკითხა.

— საუზმე გვაქვს 7-დან 11 საათამდე, სადილი 12-დან 13-მდე, ვახშამი 6-დან 8-მდე.

— ესე იგი, მე დრო აღარ მრჩება ქალაქის დასათვალიერებლად? — გაიკვირვა ფერმერმა.

* * *

ერთი სამართებლის გამყიდველი შოტლანდიელი სადალაქოში შევიდა. დალაქმა იყიდა მისგან ერთი სამართებელი და მერე შოტლანდიელიც გაპარსა.

— რა მოგართვათ სამართებელში? — ჰკითხა შოტლანდიელს.

— ორი პენსი.

— არა, არა, ძალზე ძვირია. მე თქვენ ერთ პენსს მოგცემთ და თუ ამას არ დაჯერდებით, დაიბრუნეთ თქვენი სამართებელი.

შოტლანდიელმა სამართებელი დაიბრუნა და ახლა მან ჰკითხა გაპარსვის ფასი

— ერთი პენსი.

— არა, არა, — ხთქვა შოტლანდიელმა. — მე თქვენ ნახევარ პენსს მოგცემთ და თუ არ დაგაკმაყოფილებთ, დამიბრუნეთ ჩემი წვერი...

* * *

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი: (ათვალიერებს ტედის საშინაო დავალების რვეულს): ვერ წარმომიდგენია, ერთმა ადამიანმა როგორ უნდა დაუშვას ამდენი შეცდომა!

ტ ე დ ი (ამაყად): არა მასწავლებელო, მე მამაც მეხმარებოდა!

* * *

ერთი გაჯავრებული კაცი მაღაზიაში შევიდა და გამყიდველს უთხრა:

— ჩემმა ძმამ თქვენგან მანქანა იყიდა. თქვენ გითქვამთ, თუ რამე გაგიტყდეთ, ახლით შეგიცვლითო.

— რა თქმა უნდა შეგიცვლით, — უპასუხა გამყიდველმა.

— მაშინ ის კატეგორიულად მოითხოვს დაუბრუნოთ მას ორი კუნთი, მუხლისთავები, ერთი იდაყვი, კანი და მარცხენა ყური!



* * *

— ეს რა ამბავია, რას ჰგევხარ?

— გარეთ რომ გამოვდიოდი, ცოლმა ყვავილები მომაყარა.

— კი, მაგრამ ყვავილებმა ასე გაგაჭუჭყიანა?

— დიახ. ყვავილები თავის ქოთნებიანად იყო.

ინგლისურიდან თარგმნა

მერი მასხარაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



